

# ლიტერატურული გზეუტი

№67 3 - 16 თებერვალი 2012

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკოვით

ფასი 50 თეთრი



## ბიკვირთ?

„ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში თავის გრძნობას, თავის თვალებს და ყურებს როდი ვენდობით; უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარნახოს ის, რაც ყურით გვესმის; სხვამ უნდა მიგვითითოს იმაზე, რასაც ჩვენი თვალით ვხედავთ; მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახით: ბიჭოს, ეს ხომ მართალი ყოფილა და არ ვიცოდითო!..“ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილიდან ეს ამონარიდი ტყუილად როდი მოვიძიეთ. დღესაც აქტუალურია ის, რაზეც ვაჟა წერდა. როგორც ჩანს, კარგა ხანია, ერთი უცნაური ზნე გვჭირს ქართველებს — კარგს ძნელად ვამჩნევთ და ადვილად ვივიწყებთ. იშვიათად გვიყვარს ქება, სამაგიეროდ, კრიტიკა არასდროს გვავიწყდება. როცა დიდ და საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ, თითქმის არ ვიმჩნევთ, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, ხოლო თუ ვინმეს ერთი პატარა ნიუანსი დაავიწყდა, სულ იმას გავიძახით, ეს როგორ დაემართაო. დიდი ხანია, იმასაც ვამბობთ, ცვლილებების დრო დადგაო და, ალბათ, ისიც უნდა ვისწავლოთ, კარგზე კარგი ვთქვათ და ცუდზე — ცუდი. დღეს მხოლოდ კარგზე ვლაპარაკობთ, რადგან შეუძლებელია, დადებითი ემოციები არ დაგეუფლოს, როცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მთელი 2011 წლის ლიტერატურულ კალენდარს გადაავლებ თვალს, როცა აღმოაჩენ, რომ სხვა კულტურული ღონისძიებების გარდა, რამდენი დრო და ძალისხმევა შეაღიეს ქართული წიგნის პოპულარიზაციას და რამდენი სიახლით უმასპინძლეს მკითხველს. ჩვენი გაზეთის VIII-IX გვერდი სწორედ ამ კალენდარს დაეთმობა, სადაც მხოლოდ ფაქტებია მოყვანილი, თუ რომელ თვეს რა წიგნის გამოცემა აღნიშნა ქართულმა საზოგადოებამ და რითი იყო ეს მნიშვნელოვანი. მუსიკაზე, მხატვრობაზე, კინოზე, დიზაინსა თუ, ზოგადად, ხელოვნებაზე სხვა დროს, ალბათ, სხვები ილაპარაკებენ, „ლიტერატურული გაზეთი“ კი დღეს თქვენს ყურადღებას მხოლოდ ლიტერატურულ პროცესებზე შეაჩერებს და წიგნთან დაკავშირებულ ღონისძიებებს გაიხსენებს. და როცა, კიდევ ერთხელ გადაავლებთ თვალს 2011 წლის ლიტერატურულ კალენდარს, ალბათ, ვაჟასეულ კითხვას — „ბიკვირთ?“ მისეული შემართებით უპასუხებთ — „მე არ მიკვირს“.

VIII-IX



ანდარი

ჩემს ქონებას, რაც კი ჩემი სიკვდილის დღეს ჩემს პირად საკუთრებას წარმოადგენს, სადაც არ უნდა იყოს იგი და რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს, სახელდობრ: ერთსართულიან კირის ხსნარით ნაგებ სახლ-მფლობელობას, ქართული აივნით განწყობილს, ქართული ღარიანი კრამიტით დახურულს, ფიცრით და ქვითკირით ნაგებ მარანს, ქართული ღარიანი კრამიტით დახურულს, მარანში მოთავსებულ დიდ-პატარა შვიდ ქვევრს, ასორმოცდაათერთ-მეტი ვედროს ტევადობისას, ფიცრით ნაგებ სამზარეულოს, ქართული ღარიანი კრამიტით დახურულს, ერთ ტანისამოსის კარადას, ერთ რკინის საწოლს, ერთ ლოგინების ტახტს, სამ ხელ ლოგინს, ორ მაგიდას, ხუთ ვენურ სკამს, ერთ ამბარს, ერთ კიდობანს, ერთ ხალიჩას, ერთ ყურიან სპილენძის ქვაბს ორი ვედროს ტევადობისას, ერთ უყურო სპილენძის ქვაბს ერთი ვედროს ტევადობისას, აგრეთვე, ჩემი ატლასის კაბების შეკერილ ორ სამზითვო საბანს (დანარჩენი რაც ამით გადაურჩათ, მოკითხეთ ჩემს უშვილძირო ძმასთან ველისციხეში, გრამაფონი ბალანჩივადიწაილო, ორო ფაიციონი ოთხ-ოთხი ცხენით ამათ წაიყვანეს) ვუტოვებ ჩემს რიგით პირველ შვილიშვილს, ხოლო ანდერძის ასლსა და შინაარსს ვუტოვებ ჩემს რიგით მეხუთე შვილიშვილს — მხოლოდ ეს არის, რაც მას ენდობა.

\*\*\*  
შენი თმის ჩრდილი აფენია ქალაქს. აზრი, რომლის ქალაქზე გადმოტანას ცდილობ, ქალაქდამდე ქრება. აზრი, რომელიც ქალაქდამდე ქრება, იქნებ აზრზე მეტია...

\*\*\*  
მაგიდაზე მორჩილად დევს გასაღები. რა კარგია, რომ თვალს არ მიეფარა, ან სულაც არ გაქრა. ორივე შემთხვევაში ნოემბრის ბოლოს ჩუსტებითა და ნატყენი ფეხით გარეთ დარჩენა მოგიწევდა. ეს კი არცთუ პატარა უსიამოვნებაა, როცა სახლში თბილა და ჩაიდანაც საამუშაოდ დღეებია.

\*\*\*  
სულ მიკვირს, რატომ ღირს ავტობუსში თავისუფალი სკამი ასე იაფი?

\*\*\*  
ჩემი ჩრდილი განვა მინაზე, გრძლად, მსუბუქად. ერთადერთი რამ, რაც უშეღავათოდ მე მეკუთვნის.

\*\*\*  
დედამინა თორმეტი მილიონი წლისა ყოფილა. ნეტავ რამდენია თორმეტი მილიონი წელი? ლიმონის ცერად ანაჭერს თავს ვუსვამ. აი, რამდენია თორმეტი მილიონი წელიწადი.

\*\*\*  
სამშობლო შემოსავლების ჯამი არ არის, სამშობლო მსხვერპლთა ჯამია. გარდაცვლილთაგან ბევრი ემსხვერპლა სამშობლოს, ცოცხალთაგან ბევრი ითვლის შემოსავლების ჯამს.

\*\*\*  
არასოდეს ყოფილა მეოცე საუკუნის ქართველი ისეთი თავისუფალი, როგორც კომუნისტების პარპაშის დროს. შემოსვლის დღესევე სასტიკად დამარცხდნენ (იხილეთ კოლაუ ნადირაძის ლექსი „25 თებერვალი 1921 წელი“).

\*\*\*  
იქნება შინაგანი წინააღმდეგობა — ზიზღი სახელმწიფოში გამეფებული ძალადობისადმი, სიყალბისადმი, ფარისევლობისადმი — აღემატება სხვა ნებისმიერ წინააღმდეგობას?

თუ ეს ასეა, მაშინ სამზარეულოდან გამოუსვლელად შეგიძლია დაამარცხო ისეთი ძველგამოსილი იმპერია, როგორც საბჭოთა კავშირია.

\*\*\*  
ბედნიერი მაშინაც შეიძლება იყო, როცა შენ ქვეყანას ცეცხლი უკიდია, შენ კი ჩაქობას ცდილობ, ხოლო უბედური — როცა „მეტეხის“ ბრწყინვალეობაში ფულად ჯილდოებს და ტორტის ნაჭრებს ანანილევენ.

\*\*\*  
დანაშაული სახელმწიფო გადატრიალება კი არ არის, სრულიად გულწრფელად შეიძლება ფიქრობდე, რომ სხვა გამოსავალი აღარ დარჩა — „ხანდახან სიკვდილიც გამოსავალია“ — დანაშაული ისაა, რომ სახელმწიფო გადატრიალებას საკუთარ თავს უძღვნი, საკუთარ თავსაც არა, საკუთარ სიმაძღვრეს, ჩაცმა-დახურვას... ასეთ შემთხვევაში შენი საქციელი



აზრს კარგავს და ღრმა სინანულის გარდა აღარაფერი დაგრჩენია.

\*\*\*  
რატომ გამანებივრეს ჩემმა ახლობლებმა, რაც რამ ძვირფასი ჰქონდათ, მე რატომ დამიტოვეს — რაც მოჭრეს (ვინ გაუბედა ცულის შეხება, ცაცხვს, ჩემს ნათესავს, ვრცლად გაშლილს, ძლევა-მოსილს), რაც დანვეს (ულამაზესი, წარწერებით სავსე დარბაზები: „მალე ჩვიდმეტის გავხდები, ოხ, როდის“, „გარიჟრაჟზე მიტოვდა დაიბადა, მხესავით ამობრწყინდა“), საარყე ქვაბს შეუკეთეს, რაც შუაზე გაჭრეს — ბეზიაჩემის შავი, თითის სიმსხოდ შავადვე დაქარგული მხრის შალი, ახლა ჩემი თვრამეტი წლის, უგზო-უკვლოდ დაკარგული ბიძის, ფანქრით დანერილი წერილები, წინაპართა ულამაზესი ფოტოები, ბეზია-პაპის საფლავეები, მოგონებათა ღრმა სკივრი. თვითონ არაფერი შეიხვედრეს, ყველაფერი ჩემთვის გამოიმეტეს.

\*\*\*  
ჩამოიარა ციგნებმა. მივეცი რაც ხელში მომხვდა — ერთი პარკი ლობიო. გაგიჟდა სკოლიდან მოსული დედაჩემი — ძლივს ვიშოვე, სათესლედ მიწოდდა, გურული ლობიო იყო. ყველას შესჩიოდა, გურული ლობიო ციგნებს გაატანაო. მიბრაზდებოდნენ: — რად გაატანე, გოგო, განა იშოვება გურული ლობიო. — ბეზიაჩემი ნუშისი არ იყოს, რატო უსარგებლო არ დავარქვი, ის ეძახდა ჯვარედინაზე დღედაღამე უსაქმურად მდგარ ბიჭს — უსარგებლო! უსარგებლო! საწყალი ომში დაიკარგა. განა მე კი დავბრუნდი ომიდან, განა მე კი ომში არ დავიკარგე...

\*\*\*  
ბალახი ამოიწვრა. თვალს ვარიდებ როგორც ახლობელს, რომელიც თავისას მაინც არ დაიძლია.

\*\*\*  
შამოვიდნენ შენს მჭრელები, შენი ნამონაფრები, და დასჯილი ბავშვებივით მიუსხდნენ მაგიდას. — რამხელა ხელები გაქვს ბიჭო, მართლა არ მინახავს მაგხელა ხელები. — ახალი აღმოჩენით ბავშვივით გახარებულმა ჩამოდგი ღვინიანი დოქი.

\*\*\*  
მინაზი მორთბული სველ ქვას ვიდებდი ფუტკრის ნაკბენზე. ფეხშიშველა, სირბილისაგან გაყოჩაღებული ჩემი ტერფი თვალსა და ხელს შუა ფუფუნებდა. „შენ ვერ გაუძლებდი, შენ გული გაგისკდებოდა, მოკვდებოდი.“ — ნიშნს ვუგებდი შურით კრიჭაშვილს მეზობლის გოგოს. მქონდა ორი სხვადასხვანაირი ფეხი. იმის წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ორი, ერთნაირი ფეხი მექნებოდა.



\*\*\*  
შომოაჯირემო აივანზე იატაკს კრიალი გაუდიოდა. აივანს ამშვენებდა დიდი, ბებერი, თავისდღეში მსხმოიარე ლიმონი. „და მე პირველმა მიგაკარე მამაკაცის მტკიცე ტუჩები“ — ამ აივანზე ვუკითხავდი ერთმანეთს მე და ტყუპები (ნინო და ელისო) უიტმენს.

\*\*\*  
იპსვილიპის ეზოში დიდი, ულამაზესი იფანი იდგა. იმ იფნის ქვეშ, სიგარეტით ხელში ხშირად იჯდა მათი შინაბერა მამიდა ელენე. მაღალი, გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი. რძალი (ძმის ცოლი) თვალელებში შესცივინებდა, ოდონდ რამე ენება. ო, როგორ მხიბლავდა ეს ქალი, სიგარეტით ხელში, დაუდევრად აკრეფილი თმით, ჭკვიანური გამოხედვით და თავისი გასათხვრობითაც კი, ვინ უნდა ყოფილიყო მისი უდარდელად მოხრილი მხრების ღირსი კაცთა შორის?..

\*\*\*  
ბაქრაქანთი ქალი: წელიწადები ტრი-ალბდნენ ჩემს ხელში, წელიწადები, მართო თმა მქონდა ისეთი, ავდარში თავს შეაფარებდი. რითი გაფუძელი ამათ შემოსვლას, რითი, ანდა იმ ძაღლის გადაკარგვა როგორ გადავიტანე, ფიკუსის ქვეშ დაჯდებოდი, იმ ფიკუსზე საქანელს ჩამომიბავდა მამაჩემი, სხვადასხვა მხარეს გადავუგდებდი ხელთათმანებს, როგორ გაფოთებულყო, ჯერ ერთს მომიტანდა და ჩამეხუტებოდა, მე ვერ მეორეს და როგორც დედა შვილს, ისე ჩამეხუტებოდა. ცხენი, ცხენი სულ სხვა იყო, აბა, ცხენის ქება ხო უხერხულა, ცხენს კი არა კვიცს არ აქებენ გაბედვით, მაგრამ ის ცხენი სულ სხვა იყო...

ალვანი  
ცხელოდ. დამშრალი რუები და უჩინარი მზის თვალისმომჭრელი სიკვამლე.

ღამლამობით კოლოები იკბინებან. უკვე დიდი გოგო ხარ და კაბა მუხლს უნდა გიფარავდესო — მითხრა თუმის ქალმა — თეკომ. იატაკზე იჯდა და საბანს ალიანდაგებდა.

ვაკიჭვარი  
წანლი და ნისლი დაბლიდან ამოდოდა.

დილის ჰაერს კამკამი გაუდიოდა. ამდენწიანი უნახესი ყვავილების ყურებისას ან გულზე ხელები უნდა დაკრიფო ან თვალი აარიდო. თუმის ქალი სტუმარივით მოკრძალებულად იჯდა თავის სახლის წინ, ალუდისთვის ხორბალს არჩევდა. „რამდენჯერ უნდა ჩიწერო ჩემო ქალო, რამდენჯერ: ტყეებსა სცივავ ფოთოლი, ტყეები შავდებიანო, ყველა საწუთრო ცხოველნი, ბინაში ჩადგებიანო“.

\*\*\*  
სკოლაში ვაცილებდი: ლურჯი სასკოლო ფორმა ეცვა, თეთრ პერანგზე წითელი ყელსახვევი — დე, რა კარგია, ცოტათი მაინც რო ვუგებთ ერთმანეთს... მითხრა და ლიფტში შევიდა.

\*\*\*  
წერაში ძალიან მიშლის ხელს ბავშვი (რამხელა თოვლი დაუდია ცას)... უბავშვობა (ჯერ არ წასულა და უკვე მენატრება), კედლები, ჭერი და იატაკი, კატისგან ოდნავ შეხსნილი კარი, მინა და ცა, ცა ძალიან (აივნის კარი გამუდმებით თავისკენ მენევს). აქაურობა, იქაურობის მძაფრი შეგრძნება, სიცილი (ღმერთო, მაპატიეთი)! მოგონებები (კარგიც და ცუდიც) სირცხვილი (სირცხვილი წარმართავს ჩემს ცხოვრებას), სიყვარული, სიძულვილი (სიძულვილი ძალიან), დედაჩემის სხვადასხვა პროვილიანი თავი, მამაჩემის მსუბუქად ავლილი მეოთხე უბანი, ჩემი დის მოტეხილი კბილი, რუების მოგუდული ხმა თოვალში, წვიმა, (წვიმა შეიძლება მოიმიზებო), ძლივს მოსული გაზაფხული, ზაფხულის ბოლოს პირველი ყვითელი ფოთოლი, შემოდგომის იმედად ყოფნა, გულმხურვალე ლაპარაკი (უმწიფობის დასაფარავად), სიზმრები (კარგიც და ცუდიც) დილის ფანჯრიდან შემოჭრა და მერე კარში ჩადგომა, ფანჯარაში მდგარ ალვის ხეზე მზე-წვიმაში ფრიალისაგან გახუნებული ვილაცის პერანგი, ლიფტთან ჩემი საყვარელი პოეტის „უკანასკნელად“ ნათქვამი — წერე! (რატომ უნდა ვწერო, რატომ უნდა დავუსართო ცოდვას ცოდვა, ისე ვერ გავხვდავ უცვლელ პეიზაჟს, ვერ ჩამოვხსნი სარეცხს, ვერ ვიდგები აივანზე გულზე სარეცხმხუტებულნი, ვერ დამეზარება ოთახში შებრუნება).

\*\*\*  
მწერლობა სამალავიდან სამალავისკენ გადარბენა, საფრთხე იმდენად რეალურია, თუ დროზე არ გამოხვალ იმ სამალავიდან, მაშინ მთელი ცხოვრება მოგიწევს შემადონებელ კითხვაზე — რატომ არ წერ — არც თუ ისე დაუსაბუთებელი პასუხის გაცემა — იმიტომ...

\*\*\*  
— როგორ დაქალებულხარ, გენაცვალე — მითხრა სულ ახლახანს კახელმა არისტოკრატმა - ელო ყარალაშვილმა.

\*\*\*  
1984 წლის აპრილის ბოლო რიცხვებიდან ერთ-ერთი: დღეს კბილის ექიმთან უნდა წავიდე, ხილი და ბოსტნეული ბავშვისთვის, თევზი კატისთვის, გამოვიტანო ილიას მესამე ტომი. გავაკეთო სადილი დღეისთვისაც, ხვალისთვისაც, მართლა, კატისთვის ქვიშა არ დამავიწყდეს, ამასობაში ბავშვიც მოვა სკოლიდან. უნდა გამოვცვალო ტანსაცმელი, უნდა ვასადილო, მოვეფერო, ვუთხრა, რომ ყველაზე მაგარი და კარგი ბიჭია. შევიტყუო სამეცადინოდ — ცოტა ხანში გამომძახებს: რუსული ვისწავლე! კიდევ უფრო ცოტა ხანში — ისტორია ვისწავლე! გამოვენთები: აღარ დამიძახო, თორემ მოვკვდები! მოკვდები, მამა გიცხონდა! თუ სიკვდილი გინდოდა, სხვანაირად უნდა გეცხოვრა...

\*\*\*

**ქსოვამ რამდენი ქალი გადაარჩინა დაღუპვას! სელმა ლავერლოფი**

თუ არავინ დარეკავს კარზე, ტელეფონზე, თუ არავინ დაგიძახებს ეზოდან. თუ კატა არ მოგაცილებს შაბიამნისფერ არაფრისმთქმელ თვალებს, მაშინ ან უნდა დანერო, რომ ეს ასეა, ან ჩათვალო, რომ აღარა ხარ.

\*\*\*

**ლირიკაშულებათა** გადაფასება შეუძლებელია მანამ, სანამ თხილებში თავისით ამოსული, ძირშივე გამრუდებული ატამი ისევ აყვავდება, ისევ შეირჩენს ფერმკრთალ მოგრძო ნაყოფს, ისევ გასცვივავ ფოთოლი, ისევ გადაიღურსება ზამთარში, გაზაფხულის მოლოდინში.

\*\*\*

**ჩვენს** ეზოში ხუთი სახლი დგას, აქედან ოთხი რკინის კონსტრუქციებით მიშენებული აივნით. ამის გამო ხედი ყოველი მხრიდან ჯოჯოხეთის კარიბჭესა ჰგავს.

უკვე წლებია მოპირდაპირე სახლის აივანზე (ჩვენი აივნები, მიშენების გამო, საბედისწეროდ მიუახლოვდა ერთმანეთს) შუახნის გამხდარი მამაკაცი ზაფხულობით დიდ-საღამო უღონოდ იქნევს ხელ-ფეხს. ვარჯიშობს. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვფენთ სარეცხს, ერთად ვამონებთ, შეშრა თუ არა! ერთად ვხსნით, ერთად ვასხამთ ნავთს, სარეცხის სამაგრი თუ გამივარდათ, ორივე ერთდროულად ჩაუხედავთ როგორ წავა მშენებლობის ნარჩენებისკენ. ძალიან რომ დაიღლება, აივნის უანგიან სვეტს ჩამოკონიალებული შემომყურებს. კარგა ხანია აღარ ვუკურთხავ გუნებაში. ერთ მშვენიერ დღეს რომ არ გამოჩნდეს, სადარდებელი მომემატება.

\*\*\*

**სამაგიროდ** მე შემოძლია ვიყო საინტერესო სხვა მხრივ: დავჯდე სადმე ბალში განმარტოებით და მოვიწყინო. ვფიქრობ, ეს სახუმარო საქმე არ არის — განმარტებული მონყენილი ქალი... ბალის კიდეს გადმოჭრის ივან ბუნინი თავის განუყრელი ტროსტით, ცოტათი ჩაგცდება, მკვეთრად შემობრუნდება, გახედავს რალაცას შენ ზევით და გზას გააგრძელებს, თავისი განუმეორებელი, მტკიცე ნაბიჯით...

იმავე საღამოს ვერა ივანოვნას დღიურში გაჩნდება ჩანანერი: იანი ალელვებული მოვიდა: ბალში ახალგაზრდა განმარტოებით მჯდარი ქალი შეუნიშნავს.

\*\*\*

„**ლალიძის** წყლების“ დარბაზში საფულეში ვიჩხრიკებოდი. ავიხედე. იდგა ვიღაც უცნობი ბიჭი და დანდობილად მიღიმოდა. როგორც ნაპოვნ ოქროს უზალთუნს ისე ვინახავ იმ ღიმილს. დღემდე...

\*\*\*

**წვიმა** მოსულა და წასულა. დაუტოვებია დანიკნული ასფალტი. დილის ქალაქში ადამიანები ორმაგად უცხონი არიან. მეორე შემოვლაზე უკვე სულ სხვა ავტობუსი.

\*\*\*

**სოფლის** ცენტრში ჯერ ჩემი კლასელების, თემო ხუციშვილის ძალიან ჯილდა გამოჩნდება, მონადირე, თეთრი, შავხალხებიანი, მერე თვითონ თემურა ხუციშვილი, მეტყვევ, ფილოსოფოსი, რომანტიკოსების დარდით შეპყრობილი, თევზაობის დროს დაზიანებულ თვალზე ხელაფარებული (ცალი თვალთა ცხელებზე უკეთ ხედავს). ძველი ქურთუკით, მთქნარებით, თუ საჭიროდ ჩათვალა, შენსკენ მიმედ წამოვა — შეშა მოტანილი გაქვს თუ არაო...

\*\*\*

**ფარღები** აკავებენ მზეს და წითელ ნათელს აფენენ ოთახში... ახლა ყველაფერს მირჩენია ერთადერთი ატამი გავთალო.

\*\*\*

**დავპორილა** უსაგნოდ, უაზროდ, თუმცა საქმე თავზე საყრელი მაქვს, ბოლოს გამოვიღებ დედაჩემის გამოგზავნილ გახამებულ პარკს, ამ პარკში ჩირებია... როგორც ჩანს, ხსნა ყველაფერშია.

\*\*\*

**შენ** ვერ ხედავ კარადის კუთხეს, როგორც შენიანს თუ შინ ვინმეა...

\*\*\*

**ეზოში** გიგი სულაკაური შემხვდა (ერთ სახლში ვცხოვრობდით საბურთალოს ქუჩაზე).

— იცი, რო ლამაზი ხარ? — მკითხა მოულოდნელად.

— ვიცი — რატომ უნდა ეგონოს, რომ არ ვიცი...

— იცი, ტო?! — გაიკვირვა გიგიმ. ვის გამოაპარებ, რომ რალაც არ იცი...

\*\*\*

**ძლიერმა** ქარმა თოვლი მოიყოლა. ისე არტისტულად, ისე მოხდენილად, როგორც ეს მხოლოდ ქარს შეუძლია...

\*\*\*

**ყველაზე** დიდი გაუგებრობა კარის გახურვა და საითკენღაც წასვლაა. რაც უფრო გადაუდებელ საქმეზე მიდიხარ, მით უფრო აუნერული ხდება გაუგებრობა.

\*\*\*

**თუ** ერთი კარგი წიგნი მაინც წაგიკითხავს, მაშინ იმ ერთ კარგ წიგნზე უკეთესს თუ არ დანერ, უარესის დანერას რა აზრი აქვს?! ასე სავალდებულოა მწერალი გერქვას?!

\*\*\*

**ფანჯარაზე** მომიკაკუნა ორმა ბელურამ. იმდენი აკაკუნეს, სანამ ფარდა არ გადავნიე. ტყუპად აფრინდნენ და ტყუპადვე დასხდნენ კაკლის ტოტზე. მძიმე თეთრ ნისლში გახეულები. მკაფიოდ ამოძრავებდნენ თავებს.



\*\*\*

**რატომ** გგონია, რომ რალაც ძალიან მნიშვნელოვანი დაგრჩა სათქმელი — შენს გარდა ხეივნიდან გადმოფრენილი, ნისკარტში ყურძნის მარცვალგაჩრილი შაში ვი არავის დაუნახავს?..

\*\*\*

**ვიჰეძი** იატაკზე ჩემს საყვარელ ადგილზე კედელსა და ლუმელს შორის, ტერფებით მეჭირა ბამბაზის კაბის ბოლო.

ბებო ლუმელს შეშას უკეთებდა. ვუყურებდი ჩემთვის საყვარელ მის ხელებს და დამახსოვრებას ვცდილობდი. სად არის

ახლა ჩემი დარდით შეჭმული უთქმელი ბებო, რომელიც ნამდვილად იყო, ნამდვილად უკეთებდა შეშას ლუმელს, რა დღეშია ჩემთვის საყვარელი მისი ხელები.

\*\*\*

**როგორც** თვითმკვლელის ყოველი მოძრაობა იძენს და კარგავს მნიშვნელობას, ისე უახლოვდები ან არ უახლოვდები სანერ მაგიდას.

\*\*\*

**გიჰპარღის** მტერი შენი ერთადერთი გარანტია სამყაროს გადარჩენისა — სიმარტოვის გარეშე შეუძლებელია.

\*\*\*

**ღამღამობით** მანქანის ფარების სინათლე გადაუვლიდა ჯერ მთელ სახლს. მერე შენს ოთახს მოივლიდა და ქვემოთ უბანში უხმოდ ჩაბრუნებულს თან ჩაჰყვებოდა. თავქვეშელამოდებული ილიმებოდი და უკან მობრუნებულ სიბნელეს ახლობელივით ეგებებოდი.

\*\*\*

**ისა** უნდა წახვიდე, მხოლოდ ზურგს მოჰკრან თვალი.

\*\*\*

**ბაჰჰიტილებია** მინის ლარნაკში ყვავილებს წყალი. ვინ იცის, რა მიზეზით მოუწევს ამ ლარნაკს გამხმარი ყვავილები ანად ადგილიდან დაძვრა.

\*\*\*

**ბაცვი** შინაქსოვი ჯემპრე და წინდები. გუზგუზებს ლუმელი, ანთია ლამპა. ზიხარ ტახტზე ფეხებშემოკეცილი. ერთადერთი და განუმეორებელი: ვიღაცამ კარი თუ შემოაღო, სიზმარივით გაქრები.

\*\*\*

**იშლება** ყვითელი ფოთოლი. სულ მალე აცივდება და ყველაფერი სიცივისა და ზამ-

ორ მოზრდილ ქილაში აწყობ და მზეს უმარჯვებ. ეს არის შენი პასუხი მაღლამხედველთა და ფილოსოფოსებისადმი.

\*\*\*

**წვიმას** ფხვიერ მინაზე ორი მკრთალი რუ ამოუქარგავს.

\*\*\*

**რა** გრძელია წუთისოფელი — ჯერ დილაა და უკვე დავიღალე.

\*\*\*

**მიჰპარს** ზამთარში თოვლის გზით შესვლა და დრო, რომელიც თითქოს გაზაფხულისთვის სინამდვილეში სასწაულის მოლოდინისთვის გეძლევს.

რა იქნებოდა შენი ცხოვრება ამ მოლოდინის გარეშე.

\*\*\*

**ზამთრისპირია**. ცივა. უფოთლოდ და შავად ძლივს მივაგენი ბებიაჩემის საფლავს ახალმოსახლეთა შორის. ვიღაცას მაყვლის ბარდისთვის ცეცხლი წაუკიდებია, დგას დახუნძლილი ტყის ზღმარტლი, ყველაფერს დიდი ჭრელი მთები დაჰყურებენ.

საშიშრად მოჰყვებს ავანის ხევი, სველი ჯერ ისევ მწვანე ბალახი დაუნდობლად მლუმბავს. სიმწვანე შერჩენია ბებიაჩემის ხელითვე დარგულ ლერწამას, უფრო ახლოს ისმის ავანის ხმა — წუ მთხოვ, ბებო, დარჩენას, უნდა წავიდე, უნდა გავკვიდო აქაურობას.

\*\*\*

**პაპაჩემ** ლაზროს დაღესტნიდან ჩამოტანილი სპარსული ხალიჩა გავამზევე, დავეკეციე, თავი დავადე და ვუთხარი: ლაზრო პაპა, შენი დანატოვარი ხალიჩა რატომ ვერაფერს მშველის?..

\*\*\*

**ბავშვობის** სახლი ქონება არ არის, არამედ სამყარო, რომლის დაკარგვითაც მწარე სიბერე გელის.

\*\*\*

**ვაშლი** უნდა ვიყიდო. გადაკეცილი სამმანეთიანებიდან ყოველდღე ვიღებ თითო სამმანეთიანს. რაც მომივა, იმას ვყიდულობ. ეს ფული დედაჩემმა მომცა. დღეს უკანასკნელი სამმანეთიანი ავიღე და რატომღაც კარგ ხასიათზე დავდექი.

\*\*\*

**მიჰყვები** ჩემი სოფლის გზას, ვრცელს, თვალუნდენელს. აი, თურმე როგორ გამოვიყურებ, როგორ დავდივარ, როგორ ვილიმები, როგორი ხმა მაქვს.

\*\*\*

**როგორც** გათენდა, ისე დაღამდა.

\*\*\*

**არაფერი** არ უნდა დაგრჩეს, არაფერი. ჯიბეში აღმოჩენილი ხურმის კურკაც კი და ასე ცარიელმა გადაიარო მინდორი, გადაიკარგო უცხო მხარეში!..

\*\*\*

**როგორ** მინდა იგრძნო მწუხარება და მარტოობა იმის გამო, რომ აღარ ვიქნები არსად, მთელი ქვეყანა რომ მოიარო, ეცდები, მაგრამ ვერ გამიხსენებ...

\*\*\*

**როცა** ბედისწერა შენზე ძლიერი აღმოჩნდება, ღვთაებრივი მორჩილება გეძლევს — „იყავნ წმინდა ნება შენი უფალო, იყავნ წმინდა ნება შენი...“

**ერთინადადებიანი რომანი** აი, ასე იყო ეს ყველაფერი...

ზურაბ სამადაშვილი

ბანვის ხილი

ნამტვრევები ყრია მინის, ათი ნუთი ხდება შვიდის, გაუდვია მხარზე ჩანთა, - გზაზე ერთი კაცი მიდის. მიდის ნელა, მიდის რიდით, არ ყიდულობს, არც რას ყიდის, როგორც ხევზე ბენვის ხიდი, ერთი კაცი ასე მიდის. ჩანთაში აქვს ხმელი პური და წყლის ბოთლით ჭაჭა ხილის, მაინც მიაცილებს შური, მაინც შურთან ერთად მიდის. ნამტვრევები ყრია მინის, ათი ნუთი ხდება შვიდის, - მიაცილებს ავი მზერა: გზაზე ერთი კაცი მიდის.

საქართველო

ერთ პიესად, ერთ სპექტაკლად ეს ქვეყანაც გამოდგება, პარტერი და იარუსი ფეხზე კრძალვით ნამოდგება, მაყურებელს გააოცებს უცნაური წარმოდგენა: სიყვარული - ასე ცოტა, სიძულვილი - რამოდენა!..

ბაიშუნი

ერთმა ჩემმა ნათესავმა ხიდან მიწამდე რომ ჩამოაღწია და თავი, როგორც იქნა, ადამიანად იგრძნო, მე ავტვერი იმავე ხეზე და მას შემდეგ აქ ვზივარ, - რა ხეირია ადამიანობაში?

ტარანტი ბრანელი

გამოვიარე მთელი უბანი, მზე ღრუბლებიდან მიმზერს, ღვინის სმა გახდა გარდაუვალი, - ვეძებ დაღვივის მიზეზს. ყვითელ ფარდულთან დგანან ლოთები, ლოთებმა მოძმედ მიცნეს, სივრცეს უხდება ცხელი შოთები, მე არ ვუხდები სივრცეს. ღრუბლები გვანან რკინის ვაგონებს, - საით წავიდე, რისკენ? - ეს დედამინა ციხეს მაგონებს, ღმერთო, მაღალო, მისენ.

ხატვის გაკვეთილი

შენ, ჩემო თავო, ჭკუას გარიგებ, ხატვას გასწავლი ფერებ-ფერებით, მაგრამ ყველა ფერს, არსთა გამრიგე,



თვითონა ხატავს შენი ხელებით. თვითონა ხატავს შავ-თეთრ დროებას, თვითონ ხალისობს სხივთა ნარინჯით და ასე შექმნილ უსაზღვროებას თვითონვე ზომავს შენი ნაბიჯით.

იპაროსი

მაშინ, როდესაც მზე ამოდის, და მე ვდგები ფეხისწვერებზე და სხივს მივყვები მზის სურნელით სავსე ზეცისკენ, არც უფსკრულებში ჩაბუდებულ შიშს გაეურბივარ და არც სიმაღლეს ვეუფლები ნიშნის მოგებით, მე, როგორც მღილი, ან უბრალოდ - როგორც ფარვანა, მხოლოდ და მხოლოდ სინათლისკენ მივემართები.

გამოჩნდა სამადაშვილი

გამოჩნდა სამადაშვილი, ცერ-ცერად მოაქვს ფეხია, ეტყობა, რაღაც ახალი ხიფათი თავს დასტეხია. დაცემულა და ამდგარა - ცხვირზე ორმაგი კეხია, ახლოს არავის იკარებს, პირზე გადასდის მეხია. ან ეს ცაცხვის ხე სად ნახა, ნახა და გადაეხვია, ძმაბიჭურ ხვევნა-კოცნაში სახელოც ჩამოეხია. კაცი ყოფილა რამხელა, ლამის ცხრათავა დეგია,



რაც ღვინო იყო ამ ქვეყნად, სულ მაგას დაუღვია.

მთვარე

გარდასული დრო - გამხდარი ბავშვი ფიქრებში ახელს ბინდიან თვალებს, ლამპიონები ანთია ქარში, ამოდის მთვარე. ჩემი მეტოქე - წლების ქარაგმა ცხრა კლიტეს ადებს სურვილის კარებს, ვერ დაანყნარა ქარი ქალაქმა, ამოდის მთვარე. ვის არ გადარევს ამგვარი ქარი, ამგვარი ფიქრი, ასეთი ღამე! - სად გაქრა ბავშვი - ქალწული ქერა? ამოდის მთვარე. გადავიკარგო მე იქნებ სადმე, თუ ამ ღამითვე მოვიკლა თავი. ქარმა ასი წლით იშოვა საქმე, ამოდის მთვარე. და მეც ასი წლით ვბერდები თითქოს და ამ წლებიდან რა ახსოვთ თვალებს? ქარი, სიცივე და ცოტაც სითბო... ამოდის მთვარე.

კეკელიძის ქუჩა

კარგია, რომ ეს ქუჩა ჩემთვის უცხო არ არი და სახეებს ვკითხულობ, როგორც ღია ბარათებს, - თვალებია ტექსტივით, - სიმშვიდეა მთავარი: ზამთარია, შუადღე, თოვლი თეთრად ანათებს. კარგია, რომ ბოლომდე ჯერ ბევრია სავალი და წარსული არა ჰგავს სიზმრის გარდა არაფერს, - მოდის ქალი ლექსივით, - სიმშვიდეა მთავარი: ზამთარია, შუადღე, თოვლი თეთრად ანათებს. როგორც ჯვარი კედელზე, როგორც ჯვარზე ჯვარი, ჩემს ძველ სახლში ამ ღამეს ვილაც უცხო გაათევს, - ცხოვრებაა სექსივით, - სიმშვიდეა მთავარი: ზამთარია, შუადღე, თოვლი თეთრად ანათებს. თოვლივით თოვს სახელი: მარი? მერი? თამარი?... კარ-მიდამოც წავაგე და ვაგორებ კამათელს, - არ მჭირდება კამათი, - სიმშვიდეა მთავარი: ზამთარია, შუადღე, თოვლი თეთრად ანათებს. იღბალს ვეთამაშები, როგორც ლოთი თავადი და ამ თამაშ-თამაშში ზოგჯერ რისკი ამართლებს და იწყება თავიდან: სიმშვიდეა მთავარი, ზამთარია, შუადღე, თოვლი თეთრად ანათებს...

ქს წერილი როსტომ ჩხეიძის ჩინებულ-მა ესსემ — „ცრემლი და ლოდი“ („ლიტერატურული განხილვა“, N 65, 23 დეკემბერი, 2011 წ.) მიკარნახა. სწორედ ამ ლიტერატურულმა კვლევამ გამოიჩინა სურვილი ჩაველოლო კრიტიკოსის ესსეში შორეული წარსულის რეალობიდან გამოხმობილ ადამიანთა ბედს, მოვლენების განვითარებას და დამენერა იმაზე, რაზეც როსტომ ჩხეიძემ მინიშნა კიდევ, მაგრამ კვლევა სხვა, მისთვის ამჯერად საინტერესო მიმართულებით განაგრძო. დამენერა იმაზე, რასაც ძველი აღთქმა იაკობის სულში წარმოქმნილი გრძნობის მეოხებით ჩაგვავიწყებს, გვასწავლის. ძველ აღთქმაში ხომ არა მხოლოდ მოვლენები, მათი განვითარების გზები, ადამიანების ბედი და ერთი სიტყვაც არ არის შემთხვევითი. აქ ყველაფერი გააზრებულია და სათავის დამდები.

იმდენად, რამდენადც ციტატების მოხმობა არაერთგზის დამჭირდება, მინდა მკითხველს ამთავითვე შევუთანხმდე: ვისარგებლებ „თანახის“ (ასე უწოდებენ ებრაელები ძველი აღთქმის ნიგნებს) თანამედროვე თარგმანით. იგი ისრაელში გამოცა ამ თხუთმეტი წლის წინათ. თარგმანი შესრულებულია შალომ დავიდის (დავითაშვილის) მიერ. იგი გახლავთ ქართულ ენაზე არა მხოლოდ მოსეს ხუთნიგნეულის, არამედ წინასწარმეტყველთა ნიგნების, დავით მეფის საგალობლებისა („თეილიმ“) და სხვათა და სხვათა დიდებული მთარგმნელი.

როსტომ ჩხეიძის ესსეში მოხმობილი ციტატები რომ ნავეკითხვ, თავი უხერხულად ვიგრძენი — რატომ დროულად არ ვიზრუნე იმისათვის, რომ მას შალომ დავიდის თანამედროვე ქართულით თარგმნილი „თანახი“ ჰქონოდა-მეთქი, ასე სჯობდა: თანამედროვე ქართული მკითხველი ახალი თარგმანებით უფრო დაიახლოვებამ გენიალურ ნიგნს.

ებრაელები „თანახს“ მთელი წლის განმავლობაში კითხულობენ. ნიგნი დაყოფილია საკვირაო თავებად. მისი კითხვა იწყება ებრაული ახალი წლის (რომ ჰა შანა) განკითხვის დღის, კარვების დღესასწაულის შემდეგ და მთავრდება მომავალი რომ ჰა შანისათვის.

ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ჩემი ვარაუდით, როსტომ ჩხეიძე ესსეს „ცრემლი და ლოდი“ სწორედ იმ კვირაში წერდა, როცა იუდეველნი იაკობისა და რახელის ამბავს — „ვაიცე“ კითხულობენ. ამ პასაჟში როსტომ ჩხეიძემ პირველი ნახვით შეყვარების თემა წამოსწია, თუმცა, არც ლაბანის ბუნებას აუარა გვერდი. პირველი ნახვით შეყვარების იდეის განსამტკიცებლად შოპენჰაუერსა და სხვა დიდავტორიტეტებსაც იმეველებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეწვევა საინტერესო ლიტერატურულ კვლევას, დაძებნის პარალელებს იმისა, თანახის ეს პასაჟი („ეამბორა იაკობი რახელს, აიმაღლა ხმა და აქვითინდა“) თუ როგორ წარმოჩინდა და განიერცო მსოფლიო ლიტერატურაში, სწორედ ამ სწორუპოვარ ნიგნში იღებს სათავეს პირველი დანახვისთანავე სიყვარულის — ამ უკეთილშობილესი, ადამიანში სიკეთის დამამკვიდრებელი და სასიყვარულის ამამალღებელი გრძნობის ჩასახვა.

თუ გამოვრების გამო არ დავიძრახები, კიდევ ერთხელ დავწერ: როსტომ ჩხეიძის ამ ესსემ გამოიჩინა სურვილი მის მიერ წამოწყებული საუბარი გავაგრძელო — სხვა კუთხითაც დავინახო ეს ეპიზოდი ამ დიადი წიგნისა.

„ბერეშითი“ — „დაბადება“ ხუთნიგნეულის პირველი ნიგნია. იგი გვამცნობს სამყაროს შექმნის ამბავს: „ბერეშით ბარა ელოშიმ ეთ ამამიიმ ვეთ ჰარაეც“ „თავდაპირველად ღმერთმა განსახა ცა და დედამინა“. ამას მოსდევს კაცობრიობისათვის კარგად ნაცნობი პასაჟები სამყაროს ექვს დღეში შექმნისა, ადამისა და ხავას (ევას), აბელისა და კაენის, ნოახის (ნოეს), თუ სხვათა და სხვათა ცხოვრებისა. ყველას ჩამოთვლა შორს წავიყვანს. იაკობისა და რახელის ურთიერთობა მოსდევს პატრიარქ იცხაკის (ისააკის) და რიბკას შეუღლების პასაჟს: პატრიარქი აბრაამი თავის ქვეყანაში — ივრს გაღმა გზავნის მორჩილს, რომელსაც ისააკისთვის საცოლედ მოჰყავს რიბკა.

აქ მინდა მკითხველს შევთავაზო ერთი ვარაუდი: „თანახში“ იაკობისა და რახელის პასაჟში პირველად გამოჩნდება სიყვარულის თემა. მართალია, იცხაკსა (ისააკსა) და რიბკასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „და შეიყვანა იცხაკმა იგი (რიბკა. გ.ბ.) თავისი დედის სარას კარავში და შეირთო ცოლად. შეუყვარდა ის იცხ-

აკს და ნუგემი ეცა თავისი დედის გარდაცვალების შემდეგ“, მაგრამ აქ სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. აქ სიტყვა „შეუყვარდა“ სულ სხვა დატვირთვის მატარებელი უნდა იყოს, ვიდრე იაკობთან მიმართებაში — ყურადღება მივაქცევით ქმედებათა თანმიმდევრობას: ჯერ **შეირთო ცოლად**, შემდეგ **შეუყვარდა**. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ **შეუყვარდა** შეჩვევას, შეთვისებას, ღირსეულ თანაცხოვრებას უფრო ნიშნავს, ვიდრე სიყვარულის კლასიკურ გაგებას. იაკობისა და რახელის ურთიერთობაში კი საუბარია ამალღებელი სიყვარულის გრძნობაზე, რომლის გამოც ადამიანი მსხვერპლსაც გაიღებს. ამ პასაჟის მნიშვნელობას, დედააზრს მოგვიანებით იოსებისა და ბენიამინის პიროვნულ თვისებებში, ბიოგრაფიაში დავინახავთ.

„შეუყვარდა იაკობს რახელი და უთხრა (ლაბანს) შეიდ წელიწადს გემსახურები რახელისთვის, შენი უმცროსი ასულისთვის“. შემდეგ: „და მსახურობდა იაკობი რახელისათვის შეიდ წელიწადს და იყო მის თვალში (ეს დრო) რამდენიმე დღისამებრ მისადმი სიყვარულის გამო“. ე.ი. იმის გამო, რომ იაკობს რახელი უყვარდა, შეიდმა წელიწადმა ისე გაიბრინა,

**გურამ ბათიაშვილი**

**სიყვარულის შვილები, ანუ რა დაიწყო კედემის ძეთა ქვეყანაში?**



ვითარ რამდენიმე დღეაო. ასე რომ, კედემის ძეთა ქვეყანაში იშვა ის, რაც კაცობრიობის სიკეთის სათავედ იქცევა — სიყვარული. რას მიგვანიშნებს ამით თანახი? სად იჩენს თავს სიყვარულის ძალა, რაგვარ ნაყოფს იძლევა სიყვარული? მივყვით იაკობის ცხოვრების დღეებს: ლაბანმა იაკობს რახელის ნაცვლად ლეა „ჩაუგორა ლოგინში“. იაკობი ლაბანს შესჩივლებს: „ეს რა მიყავი? განა, რახელისთვის არ გემსახურებოდი? რად მომატებუ?“

ლაბანის პიროვნების მიმართ გამოკვეთილად ნეგატიური დამოკიდებულების გაქარწყლებას კიდევ შევეცადო, ამოდ დავშვრები. ეს არც მნადია, ის კი მინდა, მკითხველს ერთი ასეთი მოსახრება შევთავაზო: არა ვგონებ, რახელის ლეათი ჩანაცვლება ლაბანის მზაკვრობის დასტურად გამოდგეს. ლაბანი პრაგმატიკოსია, მან კარგად შეისწავლა იაკობის ბუნება და ისიც კი გამოიანგარიშა, თუ რა ნაბიჯს გადადგამს ხვა იაკობი. გავიხსენოთ, რა უთხრა მან იაკობს: „უკეთესია შენ მოგცე იგი, ვიდრე მივცე ის სხვას. დამკვიდრდი ჩემთან“. იაკობი სასურველი სასიძოა, ამიტომ ლაბანმა შეგნებულად გადადგა ასეთი ნაბიჯი — თითქმის დარწმუნებული იყო, რომ იაკობი რახელს არ დასთმობდა. მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც ლაბანმა ივარაუდა. ე.ი. მას მიაჩნია, რომ ორივე ქალიშვილის ბედი გონივრულად გადაწყვიტა.

მიუხალოდ იმ საკითხს, რომელმაც ეს წერილი დამაწერინა. ჩნდება შეილება ლეასთან, იაკობს კი ლეა არ უყვარდა. მოტყუებული, გატყუებული იაკობი კიდევ შეიძენს ემსახურება ლაბანს, ოღონდაც რახელი თავისად იგულვოს. შეიდი წლის მოჯამაგირეობა — დიდი საზღაურია (თუ არ მოვიხმობთ სიტყვას — მსხვერპლია) ძალიან დიდი, მა-

გრამ იმის გამო, რომ უყვარს, იმის გამო, რომ სიყვარულით გახლავთ ანთებული, ეს შეიდი წელი დღეებად უჩანს.

მაგრამ იმარჯვებს არა მხოლოდ ლაბანის პრაგმატიზმი, იაკობის სიყვარულიც. იაკობი რახელს შერთავს. თითქოს „გასრულდა ესე ამბავი“, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ასე არ არის. ეს რომ ასე იყოს, „თანახი“ ამბავთა ნიგნი იქნებოდა და არა დიად შეგონებათა. ამ ნიგნის სიბრძნე სწორედ ისაა, თუ რა გაკვეთილს გვაძლევს, რა აზრებს ჩაგვაგონებს: რას ნიშნავს სიყვარული, რა არის იგი, რატომ „აღგვამალლებს“?

იაკობს ლეასგან შეეძინა: რეუბენი, შიმონი, ლევი, იეჰუდა, ისახარი, ზებულონი. რახელისგან: ბენიამინი და იოსები, რახელის მხევალ — ბილჰასაგან: დანი, ნაფთალი, ლეას მხევალი ქალის ზიდფასაგან — გადი და აშერი.

როსტომ ჩხეიძე სწორედ თანახზე დაყრდნობით სამართლიანად წერს, რომ იაკობს რახელისაგან შეძენილი შვილები უფრო უყვარს, ვიდრე უსიყვარულობის ნაყოფი — ლეას მიერ მოგვირილი შვილები: „თუმცე მაინც ისე მოხდებოდა, რომ ყველაზე ძალიან რახელთან შეძენილი შვილები ეყვარებოდა — იოსები და ბენიამინი —

ორე სიზმარს აღარ უამბობდა. პირველი სიზმრის თხრობის შედეგად ძმების რეაქციის მეოხებით — როგორ აითვალისწინეს უსიყვარულოდ შობილმა ადამიანებმა — უნდა გავცნობიერებინა, მათი სულიერი სანყაო. რა ბრალი აქვს იოსებს? მისი „ბრალეულობის“ განმაპირობებელი მისივე ნიჭია — ეს მიაპიტი კაცის განსაკუთრებული ნიჭით გახლავთ დაჯილდოებული. ამითაც განასხვავა ზენაარმა უსიყვარულოდ შობილთაგან. განსაკუთრებული ნიჭით შობილნი კი თითო-ოროლა, ისიც შორეულ კაცს თუ უყვარს. იოსებს რომ ეშმაკობის, ცბიერი კაცის გზა აერჩია, თავის განსაკუთრებულ ნიჭს ძმებთან მეორედ აღარ წარმოაჩენდა, დაფარავდა — მეორე სიზმარს აღარ უამბობდა. მამაც კი აუხირდა. ამ ახირების მიზეზი ის გახლავთ, რომ იაკობი გრძნობს, თუ რაოდენ ამხედრებულნი არიან ძმები იოსებზე და ცდილობს ნაბოლარა ძე — მისი ნიჭიერების „დამინების“, დამცრობის გზით ხიფათს აარიდოს.

ძმები ჯერ ხაროში ჩააგდებენ იოსებს, შემდეგ კი იშმაელიანებს ოც ვერცხლად მონად მიჰყიდიან.

ასეთია არასასურველი ქალისაგან უსიყვარულოდ შობილთა — ჩვეულებრივ ადამიანთა ზნეობრიობა. ამით „თანახი“ კიდევ ერთ შეფასებას აძლევს ადამიანთა სანუკვარ გრძნობას — სიყვარულს.

მაგრამ იაკობის ლეასა თუ მხევალ ქალთაგან შობილ შვილთა ზნეობრიობა ერთი მხარეა კაცობრიობის მოდგმისა. არსებობს მეორე მხარე — სიყვარულით შობილთა ზნეობრიობა. ეს არის იოსების გზა — პატიოსანი, სიკეთით გასხვიოსნებული კაცის ცხოვრების მრწამსი.

იოსების ბიოგრაფია ვიცით: ხაროში ჩაგდება, იშმაელიანთა მონობა, პოტიფარის კარზე ამალება, საწყრობილე, სახელმწიფოს ღამის პირველი კაცობა — ცხადია, ხელმწიფის შემდეგ.

და ერთ მშვენიერ დღეს ძმები, რომლებმაც ხაროში ჩააგდეს, მერე კი იშმაელიანთა მონად მიჰყიდეს, მთხოვნელად მიადგნენ კარს. მთხოვნელად არა რაიმე ნივთისა, არა ფუფუნების საგნისა — მათი თხონის დაკმაყოფილება სიცოცხლის გადაჩრენის ტოლფასია. იოსებს შეუძლია მათი მუდარა არ შეინყნაროს. ეს კი უსიყვარულოდ შობილთა სიცოცხლის დასრულების მაუნყია.

მაგრამ იოსები კაცობრიობის იმ ნაწილს განეკუთვნება, რომელიც სიყვარულმა მოიყვანა ამქვეყნად. სიყვარულის ნაყოფი კი კეთილშობილია. იგი სიკეთეს თესავს, სიკეთეს ელტვის — არა მხოლოდ თხოვნას შეინყნარებს, ბედნიერებასაც ანიჭებს უსიყვარულოდ შობილთ — სიცოცხლეს ბედნიერება.

ასეთნი არიან სიყვარულით შობილნი და ჩვეულებრივი ადამიანები. ასეთ გრადაციამო აჰყავს სიყვარული „თანახს“. აღბათ, არც ის დავიწყებია, რომ იაკობის თორმეტი ძე გახდა მამამთავარი ისრაელის თორმეტი მტკისა. თუ ეს ფაქტი, სიყვარულით და უსიყვარულოდ შობილთა ასეთი თანაფარდობა იქცევა (და რატომ არ უნდა იქცეს!) ადამიანთა არაბის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად, დავინახავთ, სამყაროში თუ რა შეფარდებაა ჩვეულებრივ და სიყვარულით შობილ, ე.ი. ჩვეულებრივ მოკვდავთა და სიყვარულით გასხვიოსნებულ ადამიანთა შორის.

ასე, ამ წესით მოედინება კაცთა ყოფა ამ ცის ქვეშეთში — ეს არის სიყვარულის ნაყოფის ცხოვრებისეული მრწამსი.

უკვე ითქვა, რომ „თანახში“ შემთხვევით ერთი სიტყვაც კი არ არის. იაკობისა და რახელის პასაჟი ჩაგვაგონებს, თუ როგორია სიყვარული, რა ძალა აქვს მას. ისიც ითქვა, რომ ლეას, მხევალ ქალთაგან და რახელის მიერ მოგვირილი შვილების ცხოვრება, მოქმედება არის ორი გზა კაცობრიობისა. „თანახმა“ კაცობრიობას ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაუსურათხატა ორი გზის რაობა. სიყვარულის მთავარ მოთხოვნილებად ფორმულირება, რჯულის კანონად ქცევა, მოგვიანებით მოხდება — მაშინ, როცა ეგვიპტის მონობიდან თავდახსნილი ებრაელობა უდაბნოს გზით თავისუფლებისაკენ მიდის. სინანის მთაზე უზენაესი მოსეს რწმენის დაფაზე შანით ამოკვეთს ათ მცნებას. ამითგან ერთი უზარმაზარ, ზოგისთვის შეუძლო, ძნელად მისაღწევ, ზოგისთვის კი სასიცოცხლო მოთხოვნილებად ქცეულ დავალებას აძლევს კაცობრიობას. ეს დავალება ლაღდება: „გიყვარდეს მოყვანი შენი!“ ეს უკვე რჯულის კანონია.

იოსები პატიოსანი კაცია, პატიოსანი და მიაპიტი. ასე რომ არ იყოს, ძმებს მე-

ზაზა

„არ ვიცი რა დავარქვა, მოთხრობა, ჩანახატი, მოგონება, ნამდვილი ამბავი... ამას, ალბათ, არცა აქვს დიდი მნიშვნელობა; მთავარია, მე ის ყველა ძვირფას სუნამოს მირჩევენია, — იქიდან ჩემი ბავშვობის სურნელი მოდის, ჩემი წინაპრები მეძახიან!..“

ინა არჩუაშვილი, მოთხრობა „ბილიკის“ წინათქმა

ამბოშპენ, ადამიანი მხოლოდ დაკარგვის შემდეგ ხვდება რალაცის ნამდვილ ფასს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ის უკვე აღარ არის, გაგიფრინდა, გაგისრიალდა, გაგექცა და აღარასოდეს ან ვეღარასოდეს დაბრუნდება უკან, დავინწყებ ხოლმე ფიქრს და მივხვდები, რომ სწორედ იმ ძალიან მნიშვნელოვანსა და კარგს, რომელიც ასე იშვიათად გვეძლევა ცხოვრებაში, არ გავუფრთხილდით, ვერ დავაფასეთ და სამუდამოდ დაგვკარგეთ.

მე თითქმის ვერაფერი დავაფასე თავის დროზე. ვერ დავაფასე ის, ყველივით პატარა და მორცხვი გოგო, ერთადერთი, ვინც მართლა მიყვარდა, დაგვკარგე და მისი წვრილი, თმაჩამოშლილი ლანდი სამუადამოდ გამყვა, ჩამრჩა გონებაში. ვერ დავაფასე ბებია, დაქვრივებულმა და უცხო ქალაქში სრულიად მარტოდ დარჩენილმა რომ გაზარდა ორი შვილი, მეტროს მოლარედ იმუშავა, ღამეები ათენა, მერე ჩვენ, შვილიშვილებს მოგვიარა, ბლომად დაგვიცხო გემრიელი ალადიკები, ჭინჭრითაც დაგვსუსხა გაბრაზებულმა, იტირა, იცინა, შვილთაშვილი ჩაიგორა კალთაში და ბოლოს ისევე სუფთად, როგორც იცხოვრა, ადგა და წავიდა, გაჰყვა, შორს, ჩრდილების ქვეყანაში მიმავალ უხილავ ეტლს. პო, ვერ დავაფასე, ვერ მოვეფერე და მხოლოდ დასაფლავებაზე, როდესაც კუბოს მიწა მიაყარეს, უცხო საფლავს ამოფარებული აეკეთინდი და დიდხანს ვტიროდი ჩუმად, ალბათ, ზუსტად ისე, როგორც ყველასგან დამალულად მისტიროდა ხოლმე ბებია თავის მწარე, სიტომოკლებულ და უკვე თითქმის გამქრალ ახალგაზრდობას.

და თავიდან არც ზაზას სიკვდილის ამბავმა დამცა თავზარი, კი, ძალიან მეწყინა, რალაცა ჩამწყდა კიდევ გულთან ახლოს, როდესაც დეიდა ველარ მოითმინა, ტირილი აუვარდა და მითხრა: გარდაიცვალა, სიგარეტი ჩაუვარდა ლოგინში და ბოლომდე გაგუდაო, მაგრამ ამ პატარა „რალაცას“ არაფერი აქვს საერთო იმასთან, რისი მოყოლაც მინდა თქვენთვის, რადგან ის უკვე შემდეგ ვიგრძენი და დავინახე.

მანამდე კი იყო მატარებლის ჩახუთული, ცხელი ვაგონი, მე, დედა, მამიდა, თენგო, რკინის ბორბლების თქარუნი, ცუდი ამბის მიუხედავად კიდევ ერთხელ ერთად შეკრების სიხარული, გემრიელად შესასწავლი შებოლილი ძეხვი, კონიაკ „თბილისური“ დაცლილი ბოთლი, თოვლის ფუმფულა მბრწყინავი საბნით დაფარული უცნაურად ლამაზი ხაშური, ბევრი სასაცილო ისტორია, რომელთა შორის, მხოლოდ მამიდას თუ გაეპარებოდა ცრემლნარევი სიტყვები „ეგ საცოდავი, ეგ უბედური ეგო.“ მერე სენაკის დაცლილი სადგური, ქარისგან დაწოლილი შიშველი ხეები, ბნელ ტრასაზე მოსრილ ფარებანთებულ ტაქსი, ჩვენი სოფლის სახლის შავი სილუეტი და მაღალი, ტოტებგაფარჩხული კაკლის ხე, გოლიათივით რომ აღმართულიყო მთვარით განათებული ეზოს შუაგულში.

ჯერ ჩანთები დავყარეთ, მერე მამა მოვიკითხეთ, მაგინდას შემოვუსხედით (მხოლოდ მე მივინქი იქვე კუთხეში, სანოლზე) და წვრილად გამოვკითხეთ ყველაფერი, რა და როგორ.

— საღამოს შვიდ საათზე მისულა სახლში, ნახვამი და ეგრევე დაწოლილა, ზევით ეძინა თურმე, მეორე საათულზე, ბოლო ოთახში... ვიყავი, აი, ამ ოთახის ნახევარია, — ამბობდა მამა და სანთლის შუქისგან უეცრად გადიდებული გასქელებული ხელის თითები უზარმაზარი ობობასავით დაცოცავდნენ ღამისგან ფერნაშლილ, გახუნებულ კედელზე, — მერე დილას ხუთ საათზე ჩამოსულა ძირს, მორგენი გაუღვიძებია, სიგარეტი და წყალი აუტანია და ისევე დაწოლილა. შვიდზე კი ბოლის სუნი ეცათ, ავარდა მორგენი, კარი შეაღო, მაგრამ ისეთი ბოლო მდგარა, რო ვერ ნახა, უკან მოუნდომებია გამოსვლა და ამ დროს წამოუკრავს ფეხი, იატაკზე ეგდო თურმე... ხო, ერთი მეტრანახევარით არის გადმოხობებული ლოგინიდან... კი, დაენვა, სახე, ნეკნები, ფეხი... ხო, არ უნდა ყოფილიყო

მთვრალი, მაგრამ იქ არყის ნახევრად დაცლილი ბოთლიც იყო, ეტყობა მერე დაამატა... ორ ლიბს და საბანს ვერ პოულობენ, უბრალოდ გაქრა, ისე დაინვა. ბამბაა, ჩაეძინა, ჩაუვარდა და ეგრევე ააღდა.

გასვენება იყო სუფთა მეგრული, დოლი, გარმონი, აკორდეონი, იამაპა, უცნაური, გვედნარევი მუსიკა, „ნათლიას“ საუნდტრეკიც კი, გვერდზე სახლში გაშლილი დიდი სუფრა, რომელზედაც ხალხი, პარტია-პარტიად ენაცვლებოდა ერთმანეთს, ტკბილი ღვინო და ფეხზე წამოდგომათ შესძული სადღერძელოები.

ჩვენს დანახვაზე ზაზას მამამ, მორგენი ბიძიამ ტირილი დაიწყო, ატირდნენ დედაც და მამიდაც, თენგოსთვის არ შემოხედავს და არ ვიცი, აი, მე კიდევ ვიდექი, ხელით ვინმენდღი სიცივისგან და ქარისგან თვალზე მომდგარ ცრემლებს, რომლებიც ალბათ ტირილში ჩამითვალეს, ვუყურებდი, ოქროსფერ სუდარაგადაფარებულ, გაქვავებულ სხეულს, ჩარჩოში ჩასმულ პატარა სურათს და ვფიქრობდი: მერამდენე სახედაფარულ ცხედარს ვხედავ.

საღამოს, როდესაც უკვე ყველაფერი დამთავრდა, ისევ სახლში ვისხედით, შუქი ხან მიდიოდა, ხან მოდიოდა.

— აი, პროსტა რო ვფიქრობ, რო აღარასოდეს შემოალებს ჩვენს ჭიშკარს... — თქვა მამიდამ და ისევ ცრემლები გაეპარა ხმაში.

— და საერთოდ რა დარჩა, რო ძველი სოფლიდან? — იკითხა თენგომ და მე უეცრად გამახსენდა ყველაფერი.

გამახსენდა მარანში, ღვინის ჩამოსასხმელად შესულს (მარანი პირველ სართულზე, სწორედ იმ ოთახის ქვემოთ-

ლადო კილასონია

### რამდენიმე ფრაგმენტი ჩემი მეგობრის ცხოვრებიდან



აა, რომელშიაც გაიგუდა ზაზა), როგორ მეცა ცხვირში დამწვარი ხორცისა და ხის სუნი, მაღლა ახედვისას კი დავინახე იატაკში გაჩენილი, ცეცხლისგან შავ არშიაშემოვლებული, ხვრელი, სასაფლაოსკენ მიმავალი ხრეშიანი გზა, რომელზედაც შავებში ჩაცმული ხალხი, რხევა-რხევით, დუდუნით მიიწევდა წინ. ტყეისფერი, მოღუშული ცა და მის შუაგულში თეთრ ბურთულად დაკიდებული, ღრუბლებსამოფარებული მზე, სასაფლაოს ჟანგიანი, ღრჭიალა ჭიშკარი, გათხრილი სამარე, ყვითელი, წებოვანი თიხანარევი მინის გროვა, მორგენი ბიძიას დამშრალი, დაჩივებული სხეული, შიგნით შევარდნილი საცოდავად აცახცახებული ნიკაპი, გაუბედურებული სახე, რომელიც საერთოდ აღარ გავდა იმ კაცს, ციხეში წვრილმან დარღვევაზე მოხვედრილმა რომ ვერ აიტანა ვილაც პატიმრის დაცინვა თუ მუქარა, ატივორტკა გაუყარა მუცლებში და კიდევ შვიდი წლით გაიხანგრძლივა იქ ყოფნა.

გამახსენდა და მივხვდი, რომ ზაზას წასვლასთან ერთად ჩემს ბავშვობასაც დაენყო გაქრობა. არა, ბავშვობამ დიდი ხნით ადრე დაიწყო წასვლა, მაგრამ მე ამას ვერ ვხვდებოდი, აი, ზაზას სიკვდილმა კი ყველაფერი დამანახა, ყველაფერი მაგრძნობინა.

ის ქრებოდა, ნელ-ნელა უჩინარდებოდა, შეუმჩნევლად იწრებოდა, როგორც ღვინო ბზარგაჩენილი ქვევრიდან და უბრუნდებოდა იმას, საიდანაც დაიწყო, სადაც დაიბადა — მიწას.

და, მართალია, ჩემი სოფელი მუდამ ჩემი სოფელი იქნება, სადაც ისევ იდგება

ბაბუას მიერ დარგული მაღალი კაკლის ხე, ისევე მშვიდად ილივილებს მწვანე მდინარე, ისევე დარეკავენ ეკლესიის ზარები, ისევე ორლობე-ორლობე ირბენენ ჭორები, მაგრამ ხრეშიან გზაზე ახმაურებული მანქანის ბორბლების ხმაზე ეზოს სიღრმიდან აღარ გამოვა თეთრთმიანი ბუთქუნა ბებია, აღარც ჩვენი სენბერნარი ბუთა შემოგვახტება გახარებული, აღარც ვალიკო ბაბუა მოადგება ჟანგიანი ჭიშკარს თავისი სვანური ქუდით, რეზინის შავი ბოტებით, განუყრელი მუნდრეტუკით, აღარც ძველი მორგენი ბიძია იქნება, ვეღარ ამოვივლის იმ აღმართს, ვეღარ შემოგვიტანს დაშაქრული დახეთქილი ლეღით სავსე ვედროს (და ამას ალბათ იმიტომ ვწერ, რომ მინდა ნაიკითხოს და თავისთვის ჩაიპალარაკოს: არა ბიძია, შეგეშალა, მაინც მოვალ და ისევ მოადგეს ჩვენს ძველ ჭიშკარს) და აღარც ზაზას წეროსავით მაღალი, ხმელი სხეული გამოჩნდება ერთ დროს ბრონეულის ხეებით დაფარულ, საღამოსაგან შავად შეღებილ ხეივანში.

ბორხესი ამბობს, მწერლის სიამოვნება — მოგონების სიამოვნებააო. აკა მორჩილაძე კი წერს, რომ ნანარმოების დასრულების შემდეგ ის მწერალს აღარ ეკუთვნის, ის უკვე ყველასა და მწერალი კი იმ უხილავ ფრანზეზე იწყებს „კაიფს“ სტრიქონებს შორის რომ არიან ჩამალულნიო.

მაგრამ ჩემი ეს ნაწერი, მოთხრობა არ არის, ეს უფრო მცდელობაა დროის საშინელი ბორბლის უკუღმა დატრიალებისა, იმის დაბრუნებისა, რაც უკვე წავიდა, გაქრა.

თუმცა არც ის არის დაუმარცხებელი, არც ის არის ყოვლისშემძლე, დროის მორ-

სოფლის ნაწილიც გახლდათ, მისი კარგით და ცუდით, ზოგჯერ ძალიან თავისუფალი და თანამედროვე, ზოგჯერ კი პირიქით. ცოტათი მსახიობიც იყო, მამიდა იხსენებდა, როგორ ავიდა ერთხელ სწორედ იმ ოთახში. ლოგინზე იჯდა მთვრალი და ხანჯალს ლესავდა, ვილაცას გაეგრაზებინა და უნდა მოეკლაო, რო დაამინახა, თავში შემოირტყა ხელები, შენი თავი როგორ მომიგზავნესო, წინასწარ იცოდა, კი არ იცოდა იმედიც ჰქონდა, რომ ვილაცა გააჩერებდა, ოღონდ თავის თავსაც არ უტყველობდა ამბავი, მაგრამ ლამაზად კი გააფორმაო.

ფზიზელი სულ სხვა ადამიანი იყო. დაფიქრებული, მშვიდი, გესიამოვნებოდა მასთან ლაპარაკი, ახლა რომ ვითხრათ, მუშაობა უყვარდა და თოხს არ აგდებდა ხელიდან-თქო, მოვიტყუებო, თუმცა მოხმარება მაგრად იცოდა და თუ რამე სამუშაოს ხელს მოკიდებდა, მთელი დღე არ გაჩერდებოდა. მაგრამ ფზიზელს იშვიათად ნახავდით, რაც თავი მახსოვს, სულ სვამდა, ოდნავ ნასვამზეც ისევე ზაზა იყო, მაგრამ აი, სიმთვრალეში კი აგრესიული ხდებოდა, რამდენჯერ უჩხუბია, დანახვაც განუვლია, მაგრამ მეზობლები ჩარეულან და გაუშველებიათ. სულ უბრალო რამეზე შეიძლება აფეთქებულიყო, ამიტომ ნასვამს ყველა ერიდებოდა, გაუბრუნდა. თუმცა სოფელს მაინც უყვარდა, რადგან ზაზას მაგარი იუმორის გრძნობა და მოყოლის უნარი ჰქონდა და კიდევ ძალიან, მართლა გულთ უყვარდა ჩვენი ოჯახი, განსაკუთრებით კი მამიდაჩემი მარინა, რომელთანაც საღამაზაკოდ ხშირად მოდიოდა ხოლმე საღამოობით. ჩამოსხდებოდნენ დიდი კაკლის ფესვებში ჩარგულ ქვის მაგიდასთან, მამიდა, თავისი განუყრელი სიგარეტის კოლოფითა და სანთებელათი და ზაზა — ხმელი, დაძარღვული, მხიარულ ხასიათზე მოსული. გამოიტანდა ბებია ჭაჭას, მჭადს, ყველს, ძეხვს, პურს და მე და ჩემი ძმა ჟივილ-ხივილით მივცვივდე-ბოდით მაგიდასთან, ჩამოვსხდებოდით ხის სკამზე და სულგანაბლები ვისმენდით ზაზას ისტორიებს.

მე ვასრულებ ჩემს დანაპირებს, ვყვები მხოლოდ სიმართლეს და ახლა თქვენც მინდა გაიგოთ ის ამბები, რომლებსაც ასე ლამაზად ყვებოდა ზაზა, ჩვენი კაკლის ძირში, არყის ჭიქაზე ხელჩაჭიდებული და სიბნელისგან შავ, სიფრიფანა ჩრდილად ქცეული, თავისი გამორჩეული, ოდნავ მეგრულკილომეპარული ხმით. ამბები, რომლებზედაც ამდენს ვიცინოდით ყველანი და დღესაც ვიცინით. სანაცვლოდ კი მხოლოდ ერთს გთხოვთ, ფრთხილად იარეთ, რადგან თქვენ ჩემს ბავშვობაზე მოგინვთ სიარული, იმ ისტორიებზე რომლებიც ჩემში არიან და სულ ჩემთან დარჩებიან, თვალს მოკრავთ სახეებს, რომლებსაც დღემდე ვხედავ, გაიგებთ სახელებს, რომლებიც სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში და ხმებს, რომლებიც დღემდე მესმის.

#### დატირება ინგლისურად

ჩემთან, თბილისში, ერთხელ ინგლისელი სტუმარი ჩამოვიდა, ფინი ერქვა. ტიპიური უცხოელი, დიდი ქერა ქორჩით, რომელიც მაღლა იყო აპრეხილი, ჭრელაჭრულა ტანსაცმლით და უაზრო, გამოთყვანებული იერით. ამ ფინს ბიძაჩემი თენგო სირს ეძახდა და მართალიც იყო. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი უცხოელი ჩამოვიდოდა საქართველოს დასათვალისწინებლად 92-93 წლებში?

რუსები რომ იტყვიან ილბლიან ადამიანზე „რადილსა ვ რუბაშკე“, ეს ფინი მე მგონი შარვალ-კოსტუმში დაიბადა. ერთ დღესაც გადაწყვიტა კავკასიის დათვალისწინება და ინგლისიდან ჯერ თურქეთში, ხოლო იქიდან საქართველოში, კერძოდ კი ფოთში ჩამოვიდა, ისე, რომ იქ არავის იცნობდა. მამინ ჩვენთან ყოველი მეორე ავტობუსით დარბოდა და გზებზე ისეთი ყაჩაღობები იყო, ნუ იტყვით. ამან კიდევ თბილისამდე ისე ჩამოაღწია, ერთი არაფერი შემთხვევით, სულ ნარჩევ-ნარჩევი და წესიერი ხალხი ხვდებოდა. ჯერ ფოთში ვილაც ტიპი გაიცნო, რომელმაც ქუთაისამდე ჩამოიყვანა მანქანით და სადგურზე დატოვა. ფინს იქ თბილისისაკენ მიმავალი ტრანსპორტი ვერ უშოვია და სადგურზე აპირებდა და მის გათენებას, სადაც ნამდვილად რამეს მოიხვედდა, მაგრამ აქაც ბედმა გაუღიმა. იგი იქვე მდგომ ტაქსისტს შესცოდებია, რომელმაც ინგლისური იცოდა, კაცი ჩვენს უცხოელს გამოელაპარაკა, შემდეგ სახლში წაიყვანა, ღამე გაათევენა, ხოლო დილას თბილისისაკენ მომავალ თავის მეგო-



# იანვარი



12 იანვარს ნიგნის — „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“ — პრეზენტაცია გაიმართა. გამოცემა 273 ფურად ილუსტრაციას აერთიანებს და ერთგვარი ალბომის სახე აქვს. ნიგნი, რომელიც მეორედ გამოიცა, ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და ქართული ქრისტიანული ხელოვნების განვითარების მრავალსაუკუნოვან გზას ასახავს. ის უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ს იუბილეს მიეძღვნა. ნიგნის მეორე გამოცემა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებმა მოამზადეს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დააფინანსა.

# აპრილი




25 აპრილს ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ბათუმის ორგანიზაცია „კავკასიონის“ გენერალურ მდივანს, დავით არსენიძეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მაკო ჭოლოშვილმა უკანასკნელ წლებში ქართულ ენაზე გამოცემული საყვანავილო და მხატვრული ლიტერატურა გადასცა, მათ შორის იყო ორიგინალურ ენაზე დაბეჭდილი ნიგნებიც. „კავკასიონმა“ აჭარის ყველა რეგიონში ჩამოაყალიბა ლიტერატურული კლუბები, რომელიც 500-მდე მოსწავლეს აერთიანებს. მინისტრის მოადგილის ეს საჩუქარი ორგანიზაციას საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნაში დაეხმარება.

# ივლისი



1 ივლისს ქართულ კინემატოგრაფზე შექმნილი ჟურნალის — „Filmprint“ — პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი კვარტალში ერთხელ გამოდის და მასზე რედაქტორთა ახალ-ახალი ჯგუფი მუშაობს. მრავალფეროვანი მასალები სხვადასხვა გემოვნების მკითხველის მიზიდვის საუკეთესო საშუალებაა. „Filmprint“-ი კინოცენტრისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოდის. **ქიდეშ** ერთი უნიკალური ალბომი — გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა „შუა საუკუნეების ქართული ხატუნა“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

# თებერვალი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით ხელი შეეწყო სიდნი ლიუმეტის ნიგნის „Making Movies“ ქართულ ენაზე თარგმნას. სიდნი ლიუმეტი პოლიფუნქციური ერთ-ერთი გამორჩეული რეჟისორი, პროდიუსერი, სცენარისტი და მსახიობია. მის რეჟისორულ ნამუშევართა შორის განსაკუთრებულია 1957 წელს გადაღებული „12 განრისხებული მამაკაცი“. კინოხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ის კინოაკადემიამ ოსკარითაც დააჯილდოვა. ამ ნიგნით რეჟისორი ფართო საზოგადოებას ანდობს ფილმის შექმნის საიდუმლოებას. „არ არსებობს კადრის დაყენების მართებული თუ არასწორი მეთოდი. აღვწერ მხოლოდ იმას, თავად როგორ ვმუშაობ,“ — აღნიშნავს ლიუმეტი.

# მარტი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა მოამზადა და გამოსცა ლეილა აჩბა-ანჩაბაძის ნიგნი „ჩერქეზი პრინცესას მოგონებები ჰარემზე“. ლეილა აჩბა-ანჩაბაძე ერთ-ერთი პირველ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალი და ერთადერთი ქალია, რომელიც ჰარემში ცხოვრობდა. ამდენად, მისი ჩანაწერები საინტერესო და საგულისხმოა. ამასთანავე, მისი მემუარები ბევრ უნიკალურ ცნობასაც გვანდის თურქეთში მცხოვრებ აფხაზთა შესახებ.


# ივნისი



2-26 ივნისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული მთარგმნელობითი კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა ზაზა ბურჭულაძის რომანის „adibas“ პოლონურ და რუსულ ენებზე თარგმნა და გამოცემა. სხვათა შორის, ზაზა იმ ავტორთა შორისაა, რომელთა მოთხოვნებსაც „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგია“ აერთიანებს. კრებული, რომლის პრეზენტაციაც 2012 წლის გაზაფხულზე ერთდროულად 3 ქალაქში — თბილისში, ლონდონსა და ვაშინგტონში — გაიმართება, 19 ქართველი მწერლის პროზაულ ნაწარმოებს უყრის თავს. მსოფლიო ნიგნის ბაზრისა და მკითხველისთვის განკუთვნილი „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგია“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ამერიკული გამომცემლობა Dalkey Archive Press-ის ერთობლივი პროექტია.

30 ივნისს „ქართული ნიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გამოცემული ორი ახალი ნიგნის — ალექსანდრე პუშკინის „ვეგენი ონეგინისა“ და იგორ ობოლენსკის „ლირსების ფასი, ქართველი ქმრების ისტორიები“ (ინგლისურ ენაზე) — პრეზენტაცია გაიმართა. მწერლის, ჟურნალისტისა და სცენარისტის იგორ ობოლენსკის ნიგნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე იმ ქართველების საქმიანობაზე გაიგებთ მეტს, რომელთაც XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონიეს.

# მაისი



16 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში არტ-კაფე გაიხსნა. ასეთი სივრცის არსებობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ მას შემდეგ მოეწყო არაერთი მცირემასშტაბიანი საღამო, ნიგნების პრეზენტაცია, შეხვედრა როგორც სამინისტროს წევრებთან, ისე — ქართველ და უცხოელ სტუმრებთან. აქ მისულ ადამიანს გამორჩეული გარემო ხედება — ახალი ნიგნები, ძველი აფიშები, ფოტოები და გემოვნებიანი მუსიკა. 24-25 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ლიტერატურულ ფორუმ-დილოგს უმასპინძლა. ეს იყო პირველი პრეცედენტი, როცა თბილისის საერთაშორისო ნიგნის ფესტივალს ამგვარი მასშტაბური ღონისძიება უძღოდა წინ. ფორუმ-დილოგი ხელისშემწყობი აღმოჩნდა როგორც უცხოური, ისე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის. ფორუმის ფარგლებში გაიმართა დისკუსიები, რომლებიც საგამომცემლო და ლიტერატურული სფეროსთვის საჭირო ბოროტო და საინტერესო თემებს დაეთმო. ფორუმში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი გამომცემლები. 26-29 მაისს დედაქალაქმა თბილისის ნიგნის მე-13 საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა. კვირეულის ფარგლებში 35 ღონისძიება გაიმართა და დამთავლებულა რაოდენობამ 40 000-ს მიაღწია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და ინიციატივით პრეზენტაციები, გამოფენები და სხვა საინტერესო შეხვედრები 12 საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოეწყო.

# აგვისტო



12 აგვისტოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ბათუმში, ევროპის მოედანზე მდებარე თითქმის 100 წლის წინ დაარსებულ ნიგნის მაღაზიას ესტუმრა და ქართველი და უცხოელი მწერლების ფოტოპორტრეტების კოლექცია გადასცა. მინისტრის ინიციატივით 41 ფოტოსურათი სწორედ ბათუმში, სააქციო საზოგადოება „აჭარნიგნის“ ნომერ 1 ნიგნის მაღაზიაში დაიდებს ბინას.





# საქტემბერი




9 საქტემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არტ-კაფეში ერთდროულად ორი წიგნის — გიგი სულაკაურის პოეტური კრებულის „ხეტიალი“ და ზურაბ სამადაშვილის რომანის „ხმაურიანი დღეები“ — პრეზენტაცია გაიმართა. გიგი სულაკაურის ლექსები კრებულის სახით ათწლიანი პაუზის შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა და ის ავტორის რჩეულ პოეტურ ნაწარმოებებს აერთიანებს. ზურაბ სამადაშვილის 90-იან წლებში დაწერილმა რომანმა კი ხელმეორედ იხილა დღის სინათლე. „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროორიტე-

ტი თანამედროვე ქართველი მწერლების გამოცემების ხელშეწყობაა. 15 საქტემბერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არტ-კაფეში ორი წიგნის — როლან ბარტის „მითოლოგიები“ და ჰენრი დევიდ თოროს „უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება“ — ქართული თარგმანების პრეზენტაცია გაიმართა. 20 საქტემბერს ქართველი პოეტის ტარიელ ჭანტურიას ახალი ლექსების კრებულის, „საიტ.უმლო ბართი-2“-ის პრეზენტაცია შედგა. წიგნი მწერლის როგორც ახალ, ისე ადრინდელ რჩეულ ნაწარმოებებს აერთიანებს. კრებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა და კრიტიკოსთა მხრიდან ავტორის შემოქმედების შემაჯამებელ „რჩეულად“ მოინათლა. 26 საქტემბერს „ქართული კინო. ენციკლოპედიური ლექსიკონის“ პრეზენტაცია გაიმართა. ეს პირველი ბიოგრაფიული საცნობარო გამოცემაა, რომელშიც სახელებითაა წარმოდგენილი ქართული კინოს ისტორია დასაბამიდან დღემდე. ლექსიკონი 1000-მდე ბიოგრაფიას (რეჟისორების, სცენარისტების, მსახიობების, ოპერატორების, მხატვრების, კომპოზიტორების, ხმის ოპერატორების, პროდიუსერების, კინოს ისტორიკოსების, თეორეტიკოსებისა და კინოკრიტიკოსების) უყრის თავს.

# ოქტომბერი



6 ოქტომბერს მწერალმა და მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა საზოგადოებას XIII-XIV საუკუნეების სომეხი ლირიკოსის ნაჰაპეტ ქუჩაკის პოეზიის თარგმანები წარუდგინა. „ას ერთი ჰაირენის“ პრეზენტაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა, რომელსაც მონვეულ სტუმრებთან ერთად სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰოვჰანეს მანუკიანიც დაესწრო. 12 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს ეროვნულ სტენდთან გამორჩეული პრეზენტაცია — „Have a Look at Georgia“ — გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის რესპუბლიკაში გაბრი-



ელა ფონ ჰაფსბურგი. 2011 წლის ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე სამინისტროს მხარდაჭერით 8 ქართველი მწერალი წარსდგა. იმის გარდა, რომ უამრავი საინტერესო შეხვედრა და მომავალი პერსპექტივა დაისახა, უმნიშვნელოვანესი არის ის, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუასა და ფრანკფურტის წიგნის ფესტივალის პრეზიდენტის იურგენ ბუსის შეთანხმების საფუძველზე, 2015 წელს საქართველო ფესტივალის საპატიო სტუმარი გახდება. მზადება კი 2012 წელს დაიწყო, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ფრანკფურტის buchmesse-ს შორის გაფორმდება კონტრაქტი.

# ნოემბერი



30 ნოემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სახელმძღვანელოს — „ჯაზის თეორიისა და პრაქტიკის სისტემური კურსის“ — პრეზენტაციას უმასპინძლა. წიგნი მსოფლიო ჯაზის ტენდენციებს ეყრდნობა და ერთგვარი თეორიული კვლევაა, სადაც დიდი ადგილი ეთმობა პრაქტიკულ ნაწილს, თარგმნილი და განმარტებულია სპეციფიკური თეორიული ტერმინებიც, რაც მნიშვნელოვანია ქართული მუსიკალური ტერმინოლოგიის დასახვეწად. სახელმძღვანელო საჩუქარი როგორც მელომანებისთვის, ისე პროფესიონალი მუსიკოსებისა და პედაგოგებისთვის. აღსანიშნავია, რომ ასეთი მასშტაბური ნაშრომი დღემდე ქართულ სამუსიკოს-ცოდნეო სივრცეში არ მოგვეპოვებოდა.



13 დეკემბერს გრიგოლ ტატიშვილის 4 წიგნის — „ჩართული ანბანი“, „ქართული ანბანის თაიგული“, „კანვაზედ საკერი ანბანი“, „L' Art Decoratif au Caucase“ — რეპრინტის პრეზენტაცია გაიმართა. ოთხივეს რეპრინტები და ელექტრონული ვერსიები ქართული კულტურით დაინტერესებული პირებისა და სპეციალისტებისთვის გრაფიკული დიზაინის მემკვიდრეობის შესახებ უნიკალური ინფორმაციის მატარებელია. XIX საუკუნის ქართული წიგნის ილუსტრაცია გრიგოლ ტატიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ მან დაამკვიდრა საქართველოში ქსილოგრაფიის ტექნიკა, შექმნა ქართული შრიფტის არაერთი ნიმუში. მასვე ეკუთვნის იაკობ ლოგებაშვილის „დედა ენისა“ და სხვა წიგნების მხატვრული გაფორმებაც. ამ პროექტის მიზანი გრიგოლ ტატიშვილის შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა და მისი შრიფტის „ჩონჩხი“ ციფრული ვარიანტის შექმნა და გავრცელებაა.

# დეკემბერი



მთელი 2011 წელი ვაჟას მიეძღვნა, ამ საქმეში აქტიურად ჩაერთო იუნესკოც. ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავს ეხმაურებოდა ყველა, ვისაც ლიტერატურასთან შეხება ჰქონია — მუსიკოსიც, მხატვარიც, დიზაინერიც და, რასაკვირველია, მწერლებიც. თითოეულის ოჯახში, წიგნის თარგმნაზე აუცილებლად მოჰკრავთ თვალს ვაჟას წიგნს, ზოგს ერთი აქვს, ზოგსაც — რამდენიმე, ზოგი საბჭოთა ეპოქის რჩეულს გადაფურცლავს ხოლმე ან ამავე დროს გამოცემულ საიუბილეო ანთომეულში დაიწყებს „თავისი“ ლექსის, მოთხრობისა თუ ესსეს ძებნას... მაგრამ ეს მაინც წარსულის ფერებია, რომელიც ისე გაიცრია და გაუფერულდა, ვაჟას და მის შემოქმედებას რომ აღარ ეკადრება.



16 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ვაჟა-ფშაველას ფოტოალბომის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის არქივებში დაცულ უნიკალურ ფოტო და დოკუმენტურ მასალას აერთიანებს, მათ შორის, ბევრია ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი ფოტო. ალბომის დიზაინი ბაჩა მალაზონიას ეკუთვნის, ტექსტი კი, რომელიც ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) მწერალსა და პოეტ ბესიკ ხარანაულს.

28 დეკემბერს ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში მისი სამტომეულის პრეზენტაცია გაიმართა. I ტომი, რომელსაც მამუკა ხერხეულიძის წინათქმა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის ირმა რატიაშვილის შესავალი და გრიგოლ კიკნაძის წერილი ერთვს, ლექსებსა და პოემებს დაეთმო. II — ტომი პროზასა და დრამატურგიას, ხოლო III ტომი — პუბლიცისტურ წერილებს. წიგნის მართლაც გამორჩეული დიზაინი კი სანდრო ჩხაიძეს ეკუთვნის. ფშავერი ორნამენტებით გაფორმებული ერთგვარი დიგიტალური ეფექტის ყდა მართლაც დიდ ყურადღებას იქცევს. ამგვარი მიდგომა კი 21 საუკუნეში ვაჟას შემოქმედების მნიშვნელობისა და აქტუალობის კიდევ ერთი დასტურია.

გოჩა ხარანაული

\*\*\*
შენ ბარძაყები გქონია,
უფალმა არ მიმატოვა,
გაკვირვებული ვკითხულობ:
— ნეტა ცოცხალი რატომ ვარ! —

მკერდ-ჯიქან-ძუძუ-ცურთან
სამყარო გინდა გათელო,
რომ დამალამო გწყურია,
მერე კი არ გამათენო!

ზეცას ვარსკვლავი უხდება,
როგორც შენ შენს თავს უხდება,
ჩამოგიჯდები მუხლებთან,
მერე ჩამშლია მუხლები!!!

\*\*\*
სურნელს საოცარს აფრქვევ,
გისმობ და ენა მებმის,
შენ შემიქმენი საფრთხე,
გადაჭარბებით გეგმის.

ვლოცულობ ქართულ გენზე,
(მუხრანს ვამართლებ ცამდე).
იარე შემოგველე!
იარე გენაცვალე!!!

\*\*\*
ჩემი გულის მოსარჩენად შენი გული მჭირდება,
ჩემი სულის ასაფრენად შენი სული მჭირდება!

ჩემი ბაგის გაბაგებად — შენი ბაგე მჭირდება,
ჩემი დარდის გასაგებად — შენი დარდი მჭირდება!

გიშერი გაქვს დალაღებად, ბროლი გიშრით ძვირდება,
ჩემი სისხლის გალაღებას — შენი სისხლი ჭირდება!
ჩვენ საფიცარ მამულსავით
დღენიადაგ ჭირს ველი...
რალად მოგაბეზრო თავი,
მჭირ-დე-ბი!!!

\*\*\*
ღმერთმა მაღალმა არა ქნას,
ველარ ვიხდიდე ვალს,
ძმებო, რა მოხდა ლამაზ ქალს
თუ გავაყოლებ თვალს!

ღმერთმა მარიდოს რიოში,
გადაშენება ავს,
გულს გავიგრილებ რიონში,
მერე იორში თავს!!!

\*\*\*
ვაშლია თუ ატამია!
ცხრა უღელის გამტანია.
რა წელია!
რა ტანია!
ძნელად გადასატანია!

მიტომ მოვიდრიკე კეხი,
უფლის უნდა დავიჯერო!
არ დამიცდეს სადმე ფეხი,
შენში არ გადავიჩეხო!!!

იქნებ
წამწამებზე
თოვლის ფიფქი გიცეკვავს.
ღრუბლებიდან ზეცა გამოიჩეკა!

გაიღიმე,
სული მონყენილია!
საქართველოს ენატრება ილია!

შენმა ბაგემ აღუბლები მოისხა,
შემომხედე,
ჯადო უნდა მოვიხსნა!

გაიზმორა მთამ და ნისლი აზიდა.
საქართველო დაიბადა ვაზიდან!

შენს გარეშე
იმედები კვდებიან.
წამომყევი!
მთები გავაკვდებიან!

გამიჩინე თევდორე და თამარი.
რადგან ჩემთვის მამულია მთავარი!

დედამინამ იქნებ წაღმა იაროს,
უკუნეთმა დილა იმშობიარა!!!

ის ქალი
ამ ქალზე ზეცამ იზრუნა.
ზედმეტად დააკვირდა.
ეს ქალი მაინტერესებს!
ეს ქალი ძაან მინდა!

ან ქმარს რა დაუშავდების,
ან მის უდღეურ საქმროს!
ვერც ვტირი, ველარც ვიცინი,
ველარც საქმესა ვსაქმობ!

მექცა შუბ-ისრის ნამტვრევად,
გულში ტკივილად შემერჩა.
ავდგები — რკინას გავკვნიტავ,
ან საკუთარ ღვიძლს შევჭამ!!!

\*\*\*
შენ მთვარესავით ივსები,
ჩიტი ბუდიდან ვარდება,
შემოგასკდება ჯინსები
ქალაქი შეტორტმანდება.

უკან ჩამორჩა წინ მსვლელი,
მომეხსნა ყველა ბრალდება,
შენი ლადარის წინწელი
მომხვდება — აბრიალდება!

შეჩერდი!
გულს ნუ მომიკლავ,
ნუ წამგვრი სულის მხნეობას,
შენ მინგრევე ეკონომიკას,
და სოფლის მეურნეობას!



ხმალი ქარქაშში ჩამადნა,
ხრიოკის მქცეველს ვენახად.
შენა ხარ ჩემი ჩავარდნა!
ჩემი კრიზისიც შენა ხარ!!!

\*\*\*
მოგდე ნაბიჯით მკვეთრით,
მოგდე ნაბიჯით მყარით.
კურთხეული ვარ ღმერთით,
დალოცვილი ვარ ყანით!

სიზმრიდან მახსოვს სახე,
ზუსტად შენა ხარ იგი.
გნახე...
ო, როგორ გნახე!
„კატასტროფების“ რიგით!

ალარ გაცვია კაბა
აყვავებული ჩითის,
ისე მიგყვები, თითქოს
ლურსმანს ვაჭედებ ჩლიქით!

ისე ვარ, როგორც ზენა,
როგორც ქარაფზე ჯიხვი,
ხან წამომცდება ღრენა,
ხან წამოვიწყებ ჭიხვინს!

რა ჰქვია ასეთ ყოფას?
ცხადში რომ სიზმარს ნატრობ.
უი — პოეტის წყობას!!!
ვაი — პოეტის პატრონს!!!

ეჭვი, ჰიიი...
შენი ერთი სიტყვა კმარა,
შენი ერთი ცრემლი,
ჩემი მაჯა ურო გახდეს,
დედამინა — გრდემლი!

მე ხომ ნისლებს ერთ ჭამაზე
სავსე ჯიქნებს ვუცლი,
მდინარეებს კალაპოტებს
და დინებებს ვუცვლი.

ტყის ლანა-ლუნს თუ ჰკარ ყური,
ან მთა-გორის ზანზარს,
ჩასთვალე, რომ დავუნვივარ
შენი ნდობის ხანძარს!

ეგ მაღამო თუ უშველის
ჩემს გულს — ტყვიადახლილს,
ეჰე — ჰეი! ეჰე — ჰეიიი,
მოვდივარ და დამხვდი!!!

\*\*\*
თუშური ცხვარი ქცეულხარ ქალად,
არც მგლის შიში გაქვს, არც მწყემსის რიდი,
ხორცი შეასხი ჩემს თავის ქალას,
თან ჩემი ვნების საფუძველს ქმნიდი!!!

გიშრიდან — ძონი!
ძონიდან — ქარვა!
ქარვიდან — ბროლი!
ბროლიდან — ბრალი!

დიდება იმას, ვინც ასე გქარგა,
რა ღვინით იყო ნეტავი მთვრალი!!!

\*\*\*
ისევ მზეების ამოსვლას ვუცდი,
ისევ ღრუბლების ვრჩები მოქიშპედ,
მე მოგიყვები, როგორ მიყვარდი
და შენ შეშლილი სახით მომისმენ.

მიხვდები, როგორ ცეცხლზე ვდნებოდი,
ვით ვანათებდი უკან ღამეში,
მდაბლად მუხლებზე როგორ ვდგებოდი,
ყამთა მეტოქე უამაყესი.

ვერ ვივაჟკაცე, მომეკლა თავი,
ცრემლების დელგმაც ვერ შევიჩერე,
ნახვედ და ზეცის დამემხო თალი,
ავდეგ და გული ამოვიჩეხე!

საით წავიდე, გიძღვნიდი ლექსებს,
ჩემი სიცოცხლით სავსე ფიალებს,
ვიცი რაც ხდება, როცა პოეტებს
ამგვარი კითხვა შეანრიალებთ!

ვინ განიზრახა ექციე ქალად,
მე ჩანაფიქრი მისი მაოცებს,
კაცი ალარ ვარ, მე ეხლა ქვა ვარ,
ქვა ვარ საკუთარ სასაფლაოზე!!!



ჩემიდან შენში შევდივარ სისხლად, შევდივარ გენად, ჯიშად და მოდგმად, ბერნმა ჟამთასვლამ რა უნდა მიქნას, რა უნდა მიყოს სამარის ლოდმა!!!

სამყარომ ყბედმა რა უნდა მითხრას, რა უნდა მავნოს ჭიამ და მატლმა, ჩემიდან შენში ვისკენები კვირტად, ჩემიდან შენში ვცოცხლდები მართლა!

და რაც დამაკლო ბუნებამ განგებ, და რაც წამგვარა ჟამიდან ჟამად, ჩემიდან შენში შენ მკვიდრად დამრგე, განმადიდე და მიყვარხარ ამაღ!

გეზი ვუცვალე მადევარს მავანს, გზა ავუბნიე ჟამთასვლის მწვევარს, მე რომ შენში ვარ — დიდება ამას! და მე რომ მე ვარ!!! და მე რომ მე ვარ!!!

ატმის კვირტში უნდა იწვე, ცისარტყელაც გეფინოს, სად გატარო! სად გიტროო! სად რა დაგაკრეფინო!!!

რა შეგნივთა (მაგის დედაც!), ამიყვავა გუნება, დაგინახავ — მაგინყდება ჩემი დანიშნულება!!!

ქვეყნად კაცს არ ვეტოლები, ქვეყნად კაცს არ ვიტოლებ, ჩემს სულს შენში ვეშურვი, ცხედარს ჩემთვის ვიტოვებ!!!

თავი ველარ მოვუყარე შენს თავგასულ ძუძუებს, ოთახიდან ოთახში ნირნამხდარი ვძუნძულებ!

ვინც ბალივით გაგაშენა, მანვე მე დამაქცია! ვ ა შ ა მ ი ნ ა ს ! ვ ა შ ა ზ ე ც ა ს ! ვ ა შ ა დ ე გ უ ს ტ ა ც ი ა ს !!!

ხმელის ნედლივით მომხრელი, სიკვდილს სიცოცხლეს აყრი, შენ აპრილიდან მოხვედი, და თვითონ კვებავ აპრილს!

დაჰკარ ბუკსა და ნალარას, ნიშნად ბარაქა — ხვავის, შენ უკვე ქალი აღარ ხარ, შენ მუქარა ხარ ავი!

მანანა შენმა ყანამა თავი, გროშად რომ არ ვთვლი, ბაგიდან დაგდის მანანა, ძუძუებიდან — თაფლი!

ვით ედემის ხეს დაარხვე, ტანს სავეს ვენახ-ზვარით, ერთხელაც მოწყდი, დამმარხე, მაგ შენი მკერდის ზეგვით!!

დავრჩი ქონგურებმოშლილი, დამიფრთხე არე-მარე, ხომ დამეც ციხე-კოშკივით, ტყვედ ამიყვანე ბარემ!!!

ირმა ბერიძე

პარღის ბაღები

- Õ, ðý, nêi èüêi nòí ýò ààø è æâèðí à ðí çí ? - Æý nî nââñèè ð äâòr è - í ýüüâânyò èí í ââè.

რატომ მეძახით, ვარღის ბაღებო? თქვენ ხომ წახვედით რახანია, მიწად იქეცით, სუდარასავით ჩაიყოლეთ ჭრელი თავშლები რუსის ქალებს. მე მოვდიოდი თქვენთან ბავშვი, ჰოი, ვარდებო, და ერთი კვირის ნაგროვებ ხურდით ვყიდულობდი მარადიულ სურნელებას თქვენი ხსოვნისას (რა იაფია ბავშვობისას ბედნიერება...), მე რე სახლამდე ან სკოლამდე ხელზე მეწვინეთ და დაკანრული თითებიდან, სისხლი კი არა, ბროწეულის წვეთი მჭონავდა, ალბათ, ამიტომ ექიმთან მისულს ნემსის ჩხვლეტის არასოდეს შემშინებია.

ჩემო ბაღებო, რატომ დაბრუნდით, რატომ ჰყვავით მოგონებებში, — რომ შემეშველოთ, რომ მომაბჯინოთ გადაქცეულს გასხლული ტოტი?!...

დაბადების დღე ოცი წლის წინათ

ოცი წლისა ვარ! აპრილია, ყვავის ვაზი ჩახვეული თეჯირს და რიკულს, შეუცნობელის სიმსუბუქევე, ნუ მომახვევ სიხარულს ბრიყვეულს.

ოცი წლისა ვარ, ამ საღამოს იქუხებს კიდევ, დამისველდება გაფრენილი ცისკენ ფარდები, ნავლენ სტუმრები, გავშლი დღიურს, ჩავწერ — არავის შევუყვარდები!

ვერ შევიყვარე სადარბაზოს მაღალი ნაძვი, უფოთლებო და უშიშარი, თანაბარი სიმწვანით მსუნთქავს ნუხელ ქარში არ სტკენია ერთი წინვიც კი... აღუბალი კი, დაკარგული თეთრი თიკანი — თრთის და ცახცახებს კორპუსებს შორის და ფთილა-ფთილა სცვივა ყვავილი.

მარტის ლექსი ისე თოვს, მარტი გადაიდება, უგაზაფხულოდ მოვა ივნისი და უმეტეხლებო სახლის აივნებს მიწამდე დახრის ძველი თბილისი.

დავტოვებ ლოგინს მხოლოდ იმიტომ, რომ მოვაკითხო საღამოს ისევ, და მოვუსმინო როგორც განაჩენს დაუნდობელი საათის ისრებს.

დღეს რომელიმე მეგობრის კართან დავდგები მუჭით სითბოს მთხოვნელი, ჯიუტად რატომ ველი გაზაფხულს თუ სულერთია მაინც ყოველი?!

როცა ნატყვიარზე ტყვიას დამახლიან, და ჩემს დამარცხებას ტაშით ზეიმობენ, შეუძლებელია, შეუძლებელია, მშვიდი საბურველით გული შევიმოსო.

მე სულ მაგინყდება, ველის შროშანები როგორ გაურჯელად, უხმოდ ირთვებიან, თითზე დაითვლება დღენი უმფოთველი, ბევრი ჩემთან მხოლოდ შიშის ზვირთებია.

ვიდრე უფლის ჩიტი მკერდში ჩამკვდომია, ქარში დამკარგვია გულის გასაღები, ღვთიურ წყაროსთვალზე წვეთი პატიების, წვეთი სიყვარულის მოვალ წასაღებად.

მდიდარი ტანით, წვეთით სავესენი, ვიდრე მოსულან იასამნები, ზამბახო, სხეულს ნაზი მკლავები შემოახსენი.


ამოიშალე მაგ სილურჯიდან არშიებით და მარლის საბნებით, ვიდრე თრიაქით გამაბრუებდნენ იასამნები.

შენი მარმაშა კაბის ნახვავე მომინდებია ლექსის წერანი, ჩამომინურე ყვავილებიდან ლურჯი მელანი.

ძველი სამელნე ყაისნალით ნაქსოვ ბუდეში, როგორც ბელურა, კაკანათში ისე ფართხალებს, მიკონნილობს სკოლისაკენ, ჩანთის ყურზე გამობმულმა ლურჯი მელნით მიგისატა გახამებულ წინსაფარზე იის კოპლები და ყოჩივარდას მუქი წინსკლები.

შენ ის იები ჩვენთვის გადმორგე, ჩვენთვის ახარე იავნანად, ლექსად, სიმღერად, პურის ყუებად ჩამოგვიტეხე, საბნად გვანვდინე, სადამდეც გაგვწვდა, გამოგვიზოგე ზღაპრად, რომელშიც მამა არ კვდება, სულ ცოცხალია, (შენ არ იდარდო, შენი ბრალი არ არის, დედა, თუ უიმედო ზღაპარი იყო და ციციქნა გულეებს სამუდამო სევდით გვიზრობდა, თუ ზღაპრის მერე უფრო მეტად გვიბოლოდა მამა).

დედა, რამდენი გრილი ღამე ნაზ აბრეშუმად გადაგვაფარე, რამდენჯერ კარი გრიგალებში ზურგით დაგმანე, დეკემბერია, დედა, ახლაც, მაგრამ იებმა გადაალურჯეს თეთრი რაფები და შენს ბავშვობას ფარდაგებად ამზეურებენ ყოჩივარდები.



დასაწყისი №60-66

და,  
როდესაც  
თვით ი გ ი,  
ანუ შთამომავალიც, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შეიქნება ძედ-კაცისადაც და სულიწმიდისაგან და ღვთისმშობელისა — ყოველად-მონყალე უდიადესი, უწინმედესი მარია-ამისაგან, განკაცდება,  
რომელმა წმიდა მარიამმაც,  
რომელმაც —  
„შობასა ქალწულობა დაიმარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღვთისმშობელი, სამარემან და სიკვდილმან ვერ დაგაბრკოლეს, არამედ, ვითარცა დედა ცხოვრებისა, ცხოვრებად მიგცვა-ლა, რომელმან დაიმკვიდროა საშო მარადის ქალწულისა“,  
ხოლო, მეპატიოს და,

არის ქვეყნად ყოვლად ბედნიერი მხარე იმით, რომ, ამ ქალწულისა, „შენენათა მკვიდრებელისა“ ერთიგა მხარეც არის, ჩვენში, ვისი წილხვედრიცა ეს მართლაც მისით განსაკუთრებით დალოცვილი ის მერე რა რომ დიდად ტანჯული, მხარე, რადგან,

ცნობილია რომ ნაკლებად ვითარდებიან ის ადამიანები რომლებსაც ბუნებრივი პირობების, გარემოცვის გამო სასტიკ პირობებში უწევთ ცხოვრება — არაა ამ მხარეების ჩამოთვლა აუცილებელი და საჭირო, და ვერც იქ ვითარდებიან სასურველად სადაც მზამზარეულად აქვთ სხვადასხვანაირი — რა გინდა სულო და გულო ხილი იქნება ეს თუ პურის ხეც კი, მაგრამ დროდადრო ისეთი გვალვა ატყდებათ რომ ველარაფერი ხარობს, ხოლო ღვთისმშობელისა-წილხვედრ ქვეყანაში უნდა იშრომოდნენ ზომიერად და ცოტათიც უფრო, მეტად, რომ მოგივიდეს მისი მთავარი მცენარე, ვაზი, რომლის ნახავიც პურთან ერთად, ზიარებაა, თვით; ღვთით, მწყალობელით,

და რაოდენთა, რამდენ ვარამთა გაბატონებით ბოროტულ რიქშებისაგან აისეთ დღეში ჩავევრდით, ჩაცვივიდითაა რომ, ამ ქუსლშიდაგვევლით მთლადაც სიკვდილი არა მაგრამ რაღაცა დროით უუმნარესი კრუნჩხვები და დამდაგველი სიცხის არმური-კი როგორ მოგვედო ჩვენც, დღესდღეობისაგან, გინდაც ვითომოლხენილთ-უთვალეობებს, უყუროებოთსთ, და სივარჯლახე და ბედშავობა როგორ გავვიჯდა და მაგრამ, გინდაც ასე სასონარკვეთილებს უნდა გვეჯეროდეს კი არა და, როგორ, გვეჯერა, რომ გადაგვარჩენს, ღვთისმშობელი, რომ გამოგვიხსნის —

„მეოხებათა შინა სამარადისოდ მვედრებელი, და შენენათა შინა უცილობელი სასოება“ —

კი, კიი!,  
— მოდი იმ ხალხთან წავიდეთ, თ, ისე კარგად რომ ცეკვავენდენა და გაიმღეროდნენ, და რაღაც ლექსებსაც გაიძახოდენ, მგონი,  
— ის ხალხი უკვე აიყარა; გადაიკარგნენ, სადღაც.  
— სად...  
— მაგდენი არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი, რომ შეხვდები.  
— როგორ...  
— როგორ და, ვიცი,  
— რა იცი... საიდან იცი...  
— რა ვიცი. ვიცი... —  
როგორც ყოველთვის, ამბობდა მართლს — არ იცოდა და, მაგრამ იცოდა...  
...  
— შენა კი, ნოე, — დაუყვავა, დაბნეულს, მისასხ, — მამა-უფალი გადაგარჩენს.  
— და, მთელს ატლანტიდას? — ეჭვით იკითხა, ნოემ.  
— არა. მხოლოდ შენ. და შენს სახლელულს.  
— რატომ. — იკითხა ბედნიერმაც, უბედურმაც, ამ ერთმა ნოემ.  
— სხვები არ არიან, და ვერც შეიქმნებიან ამისი, ღირსი.  
...  
და, დროებით როგორ გინდაც და ვითომც და მაინც აშკარა, შეგებად:  
— და ერთიც ცოლქმარი რომაა ჩვენში! სამაგალითობები, ნესიერები...  
გაანყვეტინა, თმ:  
— სწორედ ეგენი, შენი ალხანა და ჩალხანა ყველაზე მეტად, სხვებზე უფრო უარესები არიან, იცოდე, ნოე,  
— რატომ... — გაოცდა.  
შეხედა, თმ, შეხედა თვალში:  
— ეგენი შეგუებულები არიან მოჩვე-

ნებითი სინესიერით და ყოველივე ამ უმსგავსობას თქვენი რომ ხდება, ნოე. თავისი ტყავის გადასარჩენად ამ ყოველსაგან ვერ ვერჯერობითსა-უთავებოლობას, იქნება ეს ორპირობა, მომხვეჭელობა, ან-გარება, ჩარჩობა, გათახსირება სულ-ხორცისა, მთლად, შეგუებულები უცქერენა და შესცქერიან ყველაფერ ამას ვითომითი რომ თითონ კარგებია და იმხნევებენ თავს რომ ყოველივე ეს — ღვთის ნებაა, მაგრამ არა, არაა, ნოე ღვთისა ნება, ეს, მოყვარულის — თავისუფალ არჩევანს ხომ მუდამ გვიტოვებს და მერე-როგორი არჩევანი ავირჩიეთ და გავიკეთეთ ეგრეთ-ნოდებული თავისუფლებით ანუ მათ-ური დემონკრატით, ნოე, —

გურამ დოჩანაშვილი



კაცი, სახელად ნოე

— დემონკრატია რაღაა, თ...  
— ის ქურუმია, წამბილნელი, რომელიც არ ჩანს... რიქშას ლაშებში ლაგამამომდებული ყოველგვარი სათნოებისაგან დასაოკებლად და თან მიმშველებელიც ყოველივე უმსგავსოებისაგან, ნოე, —  
„ყოველი მინიერი უნდა განადგურდეს“... ვინაიდან მთელი დედამიწა გაიხრწნა და აივსო მასზე მცხოვრებთა უკანონობითა და უსამართლობით, ამიტომაც ილუპებთან მისი (დედამინის; კერძოდ ატლანტიდის) ყველა შეურაცხმყოფელი, რომელთა სათავეშიც ადამიანი (კერძოდ ერთიც რიქშა) დგას. თუმცა წარღვნა არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ღვთის პირადი შურისძიება. იგი წარმოადგენს პირველყოფილი, ზნეობრივად გამოფიტული კაცობრიობის სულიერი სიკვდილის გარდაუვალ შედეგს. ეს კაცობრიობა წარმოადგენს მხოლოდ „სახელს“, რომელმაც თითქოსდა სამუდამოდ დაკარგა სულიერება და რომელიც ხრწნის პროცესში მყოფ გვამს დაემგვანა, რომლის შემდგომი შენარჩუნება არა თუ უსარგებლო, არამედ მავნებელიც იყო მსოფლიოს სულიერ-ზნეობრივი ატმოსფეროსთვის და აი, პირველი მსოფლიო ილუპება წარღვნის ტალღებში, რათა გადაირეცხოს დედამიწის სიბილწე და ახალ (ალორძინებულ) საწყისებზე დაიწყოს ცხოვრება“; —  
ადამ-იანმა.  
მაგრამ  
„უფალი ნათლად ამონმებს იმას, რომ იგი სპობს თითქმის მთელ კაცობრიობას, მაგრამ არ ანადგურებს თავის მარადიულ ალტექმებს (— და „გამრავლდით“-საც, რაღა თქმა უნდა). დაილუპება მხოლოდ გველის ბოროტი თესლი, ცოლის (ევას) თესლი კი ნოეს სახით თავის გამარჯვებას იზეიმებს“ —  
...და შეხვალთ კიდობანში შენ და შენი“.....  
— შენი შეგუება კი, ნოე, ამაღლებული შეგუებაა, თუნდაც მინაზე, მინიერის ფეხშიშველად მდგომის... შენ ღმერთს შრომით, კი, კომეგეუე კუთვნილი შრომით და გხედავს, ნოე, და არ გაგნირავს,  
— რა იცი...  
— ვიცი. და ყოველივეს უკეთ გაიგებ. — როდის!  
— როცა იქნება.  
...  
— და, და ატლანტიდისაგან აღარაფერი დარჩება ნივთთაგანაც, მხოლოდღა შენი კიდობანი...

— რა კიდობანი...  
— გაიგებ, დროზე. მუდამ იცოდე და გახსოვდეს მამაკაცს, რომ, ადამის ცოდვა უფრო მეტია ევას ცოდვაზე, და შენს ძლიერ შორეულ შთამომავლობას რომ ეგონება რომ პირველად ატლანტიდაში დაიწყო მტლებისაც კი როგორი უგვანი ლტოლვა ერთიმეორისაკენ და ეგონებათ რომ ძალიან შემდგომ სხვებმა დაარქვეს ამ უმსგავსთაფლიან ვაიდ კრულ-ვითოსიტკბობებს თვით ტერმინ-სახელწოდებაც კი — ლესბოსელობა ამ მოგვიანოც წარმონაქმნის პიროველ-მდებარეობის მხარის მიხედვით, — ლესბოსი, რა ეცოდინებათ თუ ატლანტიდაში რომ წარმოიშვა თავდაპირველად ეს და თუ იცი, რატომ,

— რატომ და ისევე უმსგავსი ადამი-ებისა მამათმავლობით, ნოე.  
— ხო... ჩემი პურისყნის გვერდითაც ჩავლილი ძალიან მომრავლდნენ, წყვილ-წყვილი ქალები.  
— და ძლიერ შორეულ შთამომავლებს ერთი კიდობანიღა ექნებათ ატლანტიდური, მოსაძიებლად, რომელი დიდი კიდობანიც დიდხანს იდგმევა ერთიც მაღალი მთის ფერდობზე მაგრამ ჯეროვნად რომ არ მიაქცევენ ყურადღებას და მხოლოდ ფისის მოსაფხუკად ივლიან მისკენ, მერე კი ღმერთი განრისხდება და დაუფარავს მათ, ურწმუნოებს, მათ სასწავლებელს, კიდობანს, რადგან, არ ვიცოდითო და რა გვექნათ დაიჩვილებენ, მეორედ მოსვლისას...  
— რომელი მეორე... რომელი, მეორე... მოსვლა...  
— შენ და შენივე კარგა-გრძელი შთამომავლობაც ჯერ ძალიან შორს ხართ, ამისაგან. შეცნობისათვის, ამის... მაგრამ იქნება, თავის დროზე.  
...  
— ერთი რამ ძალიან მინდა გკითხო, თ, შენ.  
— მკითხე.  
— თ,რატომ იტანს ღმერთი ამდენ უმსგავსოებას, რატომ არ აღფხვრის ამ ყოველივე შესაზიზღრობას და მეტიც უფრო, რატომ რწყემდს აქამდეცა კი, ადამიანებს, ეს ისე ძალიან მანუხებს რომ, რომ... — დადუმდა, ნოე, ჯერ თ-ს შესცქეროდა, მერე მინას ჩააჩერდა.  
— გეტყვი. და რასაც ვერ გაიგებ ნუ დაიდარდებ რადგან ეს ჩემგან თქმული თავის დროზე მიუვათ შენს შთამომავლებს. და, გითხრა, მაინც?  
— ჰო.  
...  
— კარგა ხნის შემდეგ მოვა ჩვენი, მხოლოდ შენი და ჩემი კი არა ანუ მთელი კაცობრიობის, გადამრჩენელი, ხორციელადაც კი, და უახლოესი მიმდევარები რომ ჰკითხავენ თუ რატომ არ აღმოფხვრის იმ ღვარძლს რომელიც კეთილ-ხორბალთა შორის ბოროტმა მრავლად დარგა, მიუგებს იგი რომ ეს ადრეა, ჯერ, რადგან ღვარძლების აღმოფხვრისას კეთილი ნაყოფიც მოჰყვება თოხსა თუ ცვლს, ამიტომ დაიცდის, იცდის იქამდე სანამ არ მოვა ძალუმი როგორ, უდიადესი მკა, როდესაც კეთილ ნაყოფს ანუ მართალ ადამიანებს გამოარჩევს და ძნად მყარად შეჰკრავს და ხოლო ღვარძლი, ბოროტები

სამუდამო ცეცხლში ჩაცვივიან და იქამდე კი, ანუ ახლაც, რადგან ღმერთს პირობა აქვს დადებული ადამისათვის რომ, გამრავლდითო და ინაყოფიერეთო ხოლო ღმერთი პირობას როდი არღვევს და ამ დღევანდელი ღვარძლიდან ერთი მართალის ოჯახს გამოარჩევს, რომლებსაც, მინაზე ისევე დადგომამდე გრძელი გზა უძევთ, წყალში და წყალზე, წყალი განბანვის წყარო არი, ნოე, და ხოლო მერე, განმრავლებულები სხვადასხვა მხარეს, მხარეებს რომ მოედებინან და დაასახლებენ გამრავლებულები, ისევე ცოდვები წამოჰყოფენ თავს, ბოროტის მიერ დათესილი და კაცობრიობის გადასარჩენად ღმერთი სამაგალითოდ დასჯის ერთ ზნე-საოცრად-დაცემულქალაქს, სახელად სოდომს, და იქიდანაც კი გადაარჩენს შენი არ იყოს ერთ მართალ კაცს, ლოტს, და ერთადერთს, და მის ორ ქალიშვილს, რადგან იქ მხოლოდღა ხუთი კაციც ვერ მოიძია, ეე, ვერ მოიძიებს ოდნავ მართლებს, ადამიანთაგან „თვით მამა-აბრაამი წარუძღვება უფალსა და მის ანგელოზებს“...  
— ანგელოზები რაა,თ...  
— ღმერთის ყველაზე ახლო მრევლია, ნოე. —

„უთხრა უფალმა (აბრაამს): თუ ვპოვე სოდომ-ქალაქში ორმოცდაათი მართალი, შევინყალებ მთელს მაგ ადგილს მათი გულისათვის. — მიუგო აბრაამმა და უთხრა: აჰა, გავბედე უფალთან ლაპარაკი, მე, მტვერმა და ნაცარმა: ორმოცდაათს რომ ხუთი დააკლდეს? ნუთუ დალუპავ ამის გამო მთელ ქალაქს? უთხრა: არ დავლუპავ, თუ ვპოვე იქ ოცდახუთი“,  
— და ორმოცდაათი მართალი კაცის ძიებიდან მერე მხოლოდღა ათზე ჩამოვიდა დიდად შემკრთალი აბრაამი რადგან ველარავინ შერჩა ხელთ და თვალებითა და გულით, გული, თვალები და ხელი უმთავრესია იმ აუარება წყალობათაგან ადამიანს ხორციელადაც რომ, აქვს...  
„ნუ გამიწყრება უფალი და ამ ერთხელაც ვეტყვი: ათი რომ აღმოჩნდეს?..“ ეს აბრაამის უკიდურესი კანდიერება და სითამამეა, როდესაც იგი ღმერთს სთხოვს ათი წმიდა ადამიანის გამო დაინდოს ქალაქი და უფალი ენით აუწერელი წყალობით“...  
— და, ვერ იპოვნეს მხოლოდ ათნი,თ? — ვერა. ალხანასა და ჩალხანების-თანები, ღმერთთან ვერ სჭრიან. აი ახლა მეც როგორ შევცოდე...  
„მაგრამ უწმინდური ქალაქების მცხოვრებნი ისე ჩაიძირნენ უზნეობის და გარყვნილების მორევეში, რომ ათი წესიერი ადამიანი აღარ აღმოჩნდა მათ შორის. ასეთთა რიცხვი კონტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ სამი იყო. ესენი იყვნენ ლოტი და მისი ორი ქალიშვილი, რომლებიც ღმერთმა სასწაულტყვერად გადაარჩინა“.  
ხოლო, მანამდე,  
„წავიდა უფალი, როგორც კი შეწყვიტა ლაპარაკი აბრაამთან“ და „აბრაამიც დაბრუნდა თავის ადგილას“, სოდომიდან თავჩაქინდრული გაემართა იმ მუხნარისაკენ, სადაც სახლობდა,  
ხოლო ის სამი როგორ გადარჩა? გადარჩნენ, როგორ? —  
კიდევ ელოდათ მათ, სამთავეს, დიადი გამოცდა:  
„მოვიდა ორი ანგელოზი სოდომში სალამო ხანს, როცა სოდომის კარიბჭესთან იჯდა ლოტი. დაინახა ისინი ლოტმა, წამოუდგა მისაგებებლად და მძაბლად თაყვანისცა. უთხრა: აქეთ მობრძანდით, ჩემო ბატონებო, შემოუხვიეთ თქვენი მორჩილის სახლში. ფეხს დაიბანთ, ღამეს გაათევთ, დილით კი ადრე ადგებით და თქვენს გზაზე წახვალთ. უთხრეს: არა, ქურჩაში ვათევთ ღამეს. არ მოუშვა ლოტი და მათაც შეუხვიეს მის სახლში. გაუშვადა სასმელი ლოტმა, დაუცხო ხმიადები და ჭამეს“.  
ლოტმა რაღა თქმა უნდა არ იცოდა რომ ისინი ანგელოზები, იყვნენ, თავისი სიკეთითა და სათნოებით გაუმასპინძლდა, როგორც შეეძლო, კეთილად აღწაგ, სტუმრებს, და ბიძათავის, მამა-აბრაამს, ჰგავდა,  
არც იცოდა თუ, სცდიდა, ღმერთი, გახარებითა და გულისყურით, სტუმრებისათვის, სათნოდ საქმიანებდა, მაგრამ,  
„ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდნენ, გარს შემოადგნენ სახლს ქალაქის მკვიდრნი, სოდომელი კაცები — ჭაბუკი თუ მოხუცი, მთელი ხალხი მიადგა ყოველის მხრიდან. დაუძახეს ლოტს და უთხრეს: სად არიან ის კაცები, ნუხელ რომ გესტუმ-

რენე? გამოიყვანე ჩვენთან, უნდა შევიცხოვროთ“.

„ამბავი, რომ ლოტს ორი ლამაზი ახალგაზრდა ესტუმრა (რომელთა სახითაც ჩვეულებრივ ანგელოზები ეცხადებოდნენ ადამიანებს) მოედო ქალაქს, და აი, მისი მცხოვრებნი ნანოლოზებიც ცნობისმოყვარეობისა და უფრო მეტად კი ბოროტი განზრახვით მოგროვდნენ ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან და ლოტის სახლს მიანყდნენ“.

მოხუცებიც კი, სასიეროდ და ყმანვილკაცობა წარწყმედისა და დიდგატაცებით სანახავად და შესაგუებლად, ხოლო „ჩამოყალიბებულმა“ კაცებმა კი „დაუძახეს ლოტს და უთხრეს: სად არიან ის კაცები გუშინ რომ გესტუმრნენ, გამოიყვანე ჩვენთან ჩვენ უნდა შევიცხოვროთ“... —

„ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მოგროვილი ბრბოს საქციელი გამომწვევი იყო: იგი ემუქრებოდა როგორც თავად ლოტს, რომელსაც აიძულებდნენ მასპინძლობის წესები დაერღვია, იმავ დროს და უფრო მეტად მის სტუმრებს ემუქრებოდნენ გაუპატიურებით. ამის შესახებ ხატოვნად არის ნათქვამი შემდეგ სიტყვებში „ჩვენ უნდა შევიცხოვროთ“, რომელსაც ბიბლიაში მინიჭებული აქვს ერთობ სპეციფიური აზრი, რომელიც გამოხატავს სექსობრივ აქტს. სოდომელთა დანაშაულებრივი საქციელის მთელი სიმძიმე მდგომარეობდა მათი სექსობრივი გრძობების გაუკუღმართებაში, რომელიც გამოიხატებოდა ბავშვების გახრწნასა და მამათმავლობაში, რომელსაც შემდგომ ასე ეწოდა: „სოდომის ცოდვა“.

— კიდევ კარგი რომ, ბავშვების გახრწნა ჩვენთან არ არის! — გახარებულმა წამოიძახა, ნოემ.

— არის. მაგრამ ჯერ მალავენ, ამას, ჯერ ახალია და მერე კი დემონკრატულ კონსტიტუციითაც კი მიიღებდნენ რომ დასცლოდათ.

— და არ დასცალდებოდა?

— არა. კარგად დამიგდე, ნოე, ყური, შთამომავლები იქნებიან შენი აიის ბრბოცა და მაგრამ, ლოტიც... —

„ამ შემადარსებელი დანაშაულის ფართოდ გავრცელებაზე უნმინდურ ქანაანელთა“... —

— დაიმახსოვრე, ნოე, სახელი ქანაანელი.

- დავიმახსოვრე.
- გაიმეორე.
- დავიმახსოვრე.
- არა, სახელი.
- ქანაანი.

„უნმინდურ ქანაანელთა და განსაკუთრებით კი სოდომელთა შორის, მონობის მთელი რიგი ბიბლიური ტექსტებისა. ამის გამო სრულიად ბუნებრივია ის, რომ ლოტის სტუმრებს, სილამაზითა და ახალგაზრდობით გამორჩეულებს, შეიძლებოდა ავი ვნება გამოეწვიათ სოდომელებში“.

„გამოვიდა მათთან ლოტი კარის ზღურბლზე და გამოიხურა კარი. უთხრა: ნუ იზამთ ბოროტებას, ძმებო! აჰა, ორი ქალიშვილი მყავს, რომელთაც მამაკაცი არ იციან; მათ გამოგიყვანთ და უყავით რაც გენებოთ“

— შესძლებდი შენ ამას, ნოე, ქალიშვილები რომ გყოლოდა?

— ვერა. — თქვა ნოემ. მართალი იყო.

— შენი შთამომავლობა კი, ყოველივე ამ უკიდურესობის — სოდომელების გახრწნილებასაც და ლოტის ასეთსაც კი სიმძაფრეს, სტუმართმოყვარეობით, და უკიდურესი გახრწნილების ასაცილებლად, შესძლებს.

„რა დავაშავე“... ერთი კი ასე გაიფიქრა მოკუნტულივით, ნოემ.

„...ოღონდ ამ კაცებს არაფერი ავნოთ, რადგან ჩემს ჭერქვეშ არიან შემოსულნი. უთხრეს: მოშორდი აქედან! კვლავ უთხრეს: მარტოხელა კაცი მდგმურად მოსულხარ აქ და უკვე სამართალს სჯი?“

— და მეც, მდგმური ვარ, ნოე, — იყურებოდა სადღაცას, თ,

— ...

„ახლა მათზე უარეს საქმეს დაგმართებთ. და მიიჭრნენ...“

მაგრამ,

„გამოიწოდეს ხელი სტუმარმა კაცებმა, მინ შეიყვანეს ლოტი და ჩაკეტეს კარი“. თვით საკუთარი, „საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხის ფასად, ლოტი გამოდის ამ გამხეცებულ ბრბოსთან და ჯერ დაყვავებით, შემდეგ კი მსხვერპლის გაცემის გზით ცდილობს უარი ათქმევისოს

მათ ავ განზრახვაზე“. და, ხედავს რა თავისი მცდელობის უშედეგობას, „ლოტი გადაწყვეტს უკანასკნელ საშუალებას მიმართოს და სტუმრების ღირსების გადასარჩენად განზრახული აქვს მსხვერპლად გაიღოს თუმც უკვე დანიშნული ორი ქალიშვილის ღირსება და პატიოსნება“ და თუმც ზოგიერთები უსაყვედურებენ, მომავალში, ლოტს ამას, მაგრამ თვით იოვანე ოქროპირი და განმამარტებელთა უმრავლესობა ამში ხედავენ მსხვერპლის გაღების აქტს ან უკიდურეს შემთხვევაში უკეთეს გამოსავალს მისი ერთობ რთული მდგომარეობიდან (სტუმრების პატივყრა და ან ქალიშვილების გაუპატიურება) იგი ირჩევს ნაკლებს, ასე ბრძანებს წმიდა ამბროსი მედიოლანელი,


ხოლო

„უთხრეს... მდგმურად მოსულხარ და უკვე სამართალს სჯი?...“ „წმიდა ადამიანის საქციელი და ცხოვრების წესი, რომელსაც სისხლ-ხორცში ცოდვამაგჯდარ თანამოქალაქეებთან უნევს ცხოვრება, ერთგვარ უსიტყვო მაგრამ მაინც მრავლისმეტყველ მხილებად ქცეულა ამ უკანასკნელთათვის. ამ მდგომარეობაში იყო ლოტი, რომელიც ყოველდღე ხედავდა სოდომელთა უკანონობას და იტანჯებოდა ამის გამო — ამბობს დიდი მოციქული, — სოდომელები მასში ხედავდნენ-რა სრულიად განსხვავებული ყიადის ადამიანს, უარყოფითად არიან მის მიმართ განწყობილნი. ეხლა კი, როდესაც ლოტმა გაბედა და სცადა მათთვის უზნებოაზე აულებიანებინა ხელი, სოდომელთა უკმაყოფილება იმდენად იზრდება, რომ საფრთხეშია მისი სიცოცხლეც კი“,

და ასრულებდნენ კიდევ, ამას,

მაგრამ აქ

„გამოიწოდეს ხელი სტუმარმა კაცებმა, მინ შეიყვანეს ლოტი და ჩაკეტეს კარი“. მათი ღირსების დიდსულოვნად გამოქომაგებისათვის ზეციური სტუმრები ახლა თავად შეველიან ლოტს კრიტიკულ მომენტში, ამ სასწაულით. მათ ამ დროს პირველად გამოავლინეს ლოტის წინამე წამდელი ბუნება“,



ხოლო სასწაული კი ის იყო რომ „იმ კაცებს კი, სახლის შესასვლელთან რომ იდგნენ, სიბრძნე მოჰგვარეს“ — სიბრძნე არ უნდა ყოფილიყო... — სიბრძნე როგორ უნდა ყოფილიყო მათთვის დიდი იშვიათობა მაგრამ აქამდე ვერ განიცდიდნენ ამას, ნოე,

— რატომ... —

— გიკვირს ეს თვით შენ, ატლანტიდელს?

— არა.

და

„უთხრეს იმ კაცებმა ლოტს: კიდევ ვინა გყავს აქ? სიძე, ვაჟები და ქალიშვილები, ყველა, ვინც კი შენიანი ამ ქალაქში, გაიყვანე ამ ადგილიდან. რადგან უნდა გავანადგუროთ ეს ადგილი, რაკი დიდია მათზე სამედურავი უფლის წინაშე, და მოგვავლინა უფალმა მათ გასანადგურებლად. გავიდა ლოტი და ელაპარაკა თავისი სასიძოებს, რომელთაც მისი ქალიშვილები უნდა ეთხოვათ და უთხრა: ადექით და გადით ამ ადგილიდან, რადგან ქალაქის განადგურებას აპირებს უფალი“... —

მაგრამ

„სასიძოებს ეგონათ, ხუმრობსო უფალი. განთიადისას ანგელოზებმა დააჩქარეს ლოტი და უთხრეს: ადექი, მოჰკიდე ხელი შენს ცოლს და ორ ასულს, აქ რომ არიან, რათა შენც არ დაიღუპო ამ ქალაქის უკეთურობის გამო. ფეხს ითრევდა

ლოტი“... — როგორც ახლა მე, არა, ნოე? — გაიღიმა, თ, მ,

„და იმ კაცებმაც, რადგან უფალმა დაინდო ლოტი, ხელი ჩასჭიდეს მის ცოლს, მის ორ ასულს, გაიყვანეს და ქალაქის გარეთ დააყენეს“,

ხოლო სასიძოების იმ განაფიქრით რომ ლოტიც ხუმრობდა,

„ნათელა, რომ ეს სიძეები ჭეშმარიტი სოდომელები იყვნენ არა მარტო სხეულით, არამედ სულითაც, რადგან სიცილითა და ეჭვით შეხვდნენ ლოტის წინადადებას“,

ამასვე მონობს წმიდა მოციქულ ლუკასი XVII, 28-32:

28. „და ეგრევე ვითარც-იგი იყო დღეთა ლოთისთა: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს;

29. და რომელსა დღესა განვიდა ლოთ სოდომით, ანვიმა ცეცხლი და წუნწუბა (გოგირდი; გველები ძალზე გაურბიან) ზეცით და წარწყმედებოდა ყოველი,

და,

32: მოიხსენეთ ცოლისა მის ლოთისი: რადგან მიუხედავად იმისა რომ ეთქვათ მათ:

„თუ გინდათ რომ ცოცხალი გადაიხრეთ, უკან არ მოიხედოთ, არც სადმე გაჩერდეთ“,

მაგრამ

„უკან მოიხედა ლოტის ცოლმა და იქცა იგი მარილის სვეტად“ — „ლოტის ცოლის დასჯა იმის გამო, რომ მან არ შეისმინა ანგელოზთა გაფრთხილება და უნმინდურებისადმი თავისი თანაგრძნობა გამოხატა უკან მიხედვით, არ იყო უბრალო ალეგორია, როგორც ამას ზოგიერთნი ამტკიცებენ. ამჟამად ეს რეალური ისტორიული ფაქტი იყო, რასაც ადასტურებს სოლომონის სიბრძნეთა წიგნის ავტორი (X, 7-8) და თვით უფალი იესუ ქრისტე (ლუკა XVII, 32: „მოიხსენეთ ცოლისა მის ლოთისი“). ვარაუდობენ, რომ ზუსტად მაშინ შეჩერდა ლოტის ცოლი, რათა გადაეხედა ქალაქისათვის. ამ დროს

ლადო კილასონია

რამდენიმე ფრაგმენტი ჩემი მეგობრის ცხოვრებიდან დასასრული

რა გვინდა ჩვენც მეტი, ბენზინი არი, საჭმელ-სასმელი არი, დავკატაობთ ასე აქეთ-იქეთ და ვიძახით ამ რუპორში: ხალხო, გამოდით, სამშობლოს უჭირს! და ასეთ რამეებს. ეს რუპორი არავინ არ იცის და ხალხს გონია ჩვენ ვყვირით ხმამაღლა! ერთი ღამეა და მოვდივართ სახლში მთელი დღის მუშაობის მერე, გზაში არაფერი დავლიეთ და კაი ხასიათზე ვართ, გიას ვეუბნები, მოდი მეთქი პატარა ვიმაიმუნოთ. დავაიო, მარა რა ვქნათო? რა და მე ვიცი-თქო, ვუპასუხე, ავიღე ეს რუპორი, დიდი ფანარი და შევედით სოფელში. ღამეა უკვე, თორმეტს გადაცდა, შუქი არაა არსად. თამაზი კილასონიას სახლს რო მივეუახლოვდით, გვაჩერებინე მანქანა. ჩავრთეთ რუპორი და მივციკე კანარეიკის სიგნალი, ინივლა, მარა რა ინივლა, გააღვიძა მთელი სამეზობლო.

მივიტანე ეს რუპორი პირთან და ვყვირი: თამაზი კილასონია, ქვეყანა გიხმობს, შენ კიდევ გძინავს, ადექი და გამოდი გარეთ! მივეცი ისევ ეს კანარეიკის სიგნალი, გავიმეორე ლოზუნგი, მივანათე ფანარი სახლს და გაიღო კარები და გამოვიდა თამაზი, ამხელა კაცი, ა ყველაფერს გეფიცები, თეთრი ტრუსიკით და ბრეტელეებიანი თეთრი მაიკით, ეძინა თურმე, დადგა კარში, მარა, რას დაგვინახავს ფანარი თვალებს ჭრის, ანია მარცხენა ხელი ჰაერში, მარჯვენა დაიდო გულზე და ყვირის მთელი ძალით: სადაც ჩემი საქართველო, იქ ვარ მეც!

დავძარით მანქანა, მარა ვერ მიყავს გორას, კვდება სიცილით და ამ დროს ცხონებულმა ვიამ, დავაი კაროჩე, ზიძაჩე ბორია ძაძამიას მივადგეთო, ბორია ადრე ნასროკალია, ციხეში იჯდა ქურდობაზე. იმისი სახლი თამაზის სახლიდან შორსაა და ვერ გაიგებდნენ.

მივადექით, სიბნელეა უკუნეთი, მარტო ბორიას სახლში ანთია შუქი. დავაჭირე ამ კანარეიკას და ვყვირი: ბორია ძაძამია, წინააღმდეგობის განწევა აზრი არ აქვს! თქვენი სახლი ალყაშემორტყმულია, დაყარეთ იარაღი და გამოდით გარეთ! და ჩაქრა, ჩაბნელდა უცებ სახლი. ისევ სიგნალეები, კანარეიკა ისევ: სახლი ალყაშემორტყმულია, დაყარეთ იარაღი და გამოდით გარეთ.

და ამ დროს გვესმის, ჭიშკარი იდება, მივანათეთ და ვხედავთ, ა, რალაცა ასეთი მოკუზული, ნელში მოხრილი, ძალღვივით მიიპარება ყანისკენ, ვიცანით ბორიას.

მივაჭირე ისევ სიგნალს ხელი და ვუბრძანე: არ გაინძრეთ, თორემ გესვრით! ამის თქმა იყო და შევარდა ბორია ყანაში, თან გარბის და თან ყვირის:

— გოდერძი შენი... (გოდერძი შეილს ქვია)! შენ მოიტანდი თორემ, ჩემ სახლში იარაღს რა უნდაო!

ვიამ იმდენი იცინა, თუ არ მოკვდებოდა არ ვიცოდი. ბორია კიდევ დილაზე ვიპოვეთ, ახალი ხიდის იქით ტყეში იმაღებოდა ტიტველი.

ზოლო ორი ნელი ზაზამ სმას უკლო, ცოლის მოყვანასაც აპირებდა, ჩვენი ეზოს თავზე, სასაფლაოსკენ მიმავალი ბილიკის გასწვრივ, პატარა ადგილი შემოღობა, მოასუფთავა, თხილი დარგო, ეტყობა ემზადებოდა.

ყოველ დილას მამაჩემს შეუვლიდა (მამა სოფელში ნავიდა საცხოვრებლად), თუ რამეში მოხმარება სჭირდებოდა, მიეხმარებოდა და მერე, მალა თავისი თხილის ბალისკენ შეუყვებოდა ხრეშიან ალმართს.

და რატომ მოყვები ეს ყველაფერი, რატომ ვილაპარაკე ამდენი? იმიტომ, რომ ძალიან მინდა მისი სახელი არ გაქრეს, რომ ის ვინმე სხვამაც, ჩვენი სოფლისა და ნათესავ-მეგობრების გარდა, დაიმახსოვროს, დაინახოს — მალაი, ხმელი, დაძარღვეული, საკუთარი ახალი ბალისკენ, ახალი ცხოვრებისკენ, გრძელი, აცა-ბაცა ნაბიჯებით, მიმავალი.

რადგან მინდა რაც შეიძლება მეტმა იცოდეს, რომ სამეგრელოში, სოფელ ნოქალაქევში ცხოვრობდა ასეთი კაცი — ზაზა კარტოზია, სახეც კაცური ღირსებებით და ადამიანური სისუსტეებით, ცოტათი ბედნიერი, ცოტათი უბედური, მაგრამ კეთილი, სიფიხილუმი მომხიბლავი და საინტერესო, სიმთვრალეში აგრესიული და მომბაბურებელი, ახლა კი აღარც ერთი არის და აღარც მეორე.

მწერალი

ეკატერინე ტოგონიძე

„ლიზას ქანდაკება ცოცხალივით იდგა, თითქოს სუნთქავდა. გარს შემოუარა, ზურგიდან დააცქერდა. მოეჩვენა, რომ ხერხემალზე აკრული გველი ასოებს ველარ ფარავდა, ლიზას კანზე საცეცხეებით მოძვრებოდნენ სვირინგის ორნამენტები. ქანდაკებას ეცა, გველის ავლევჯა მოინდომა. ფრჩხილები გამშრალი თიხით აეკსო. ნაკანრები გოგოს მალეებს ანბანის კონტურებად დაეტყო. შეშინებულმა უკან დაიხია. ხელები თავზე აიფარა და ფანჯარასთან ჩაიკეცა“ — ეს არის ნაწევრები ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობიდან „სხვა გზა“, რომელიც მისი მოთხრობების პირველ კრებულში შევიდა და ორიგინალური სიუჟეტითა და სათქმელის არაორდინარობით უთუოდ მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას. ტელეჟურნალისტმა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში საზოგადოებრივ არხზე „მოამბე“ და „ალიონი“ მიჰყავდა, ცოტა ხნის წინ თავი ახალ ამბულაში მოსინჯა. მისი ლიტერატურული დებიუტი შარშან „კვირის პალიტრაში“ შედგა. შარშანვე გახდა „ერთი მოთხრობის კონკურსის“ ერთ-ერთი გამარჯვებული. სწორედ ამ გამარჯვებამ გადაწყვიტინა ნიგნის გამოცემა. თავი მოუყარა ერთი წლის განმავლობაში დაწერილი მოთხრობებს და 2011-ის დასასრულს მკითხველის სამსჯავროზე კრებული სახელწოდებით — „ანესთეზია“ გამოიტანა.

— შარშანდელი წელი ძალიან წარმატებული გამოდგა თქვენთვის — ლიტერატურული დებიუტი, კონკურსში გამარჯვება, ნიგნის გამოცემა. რა უძღვოდა წინ ამ ყველაფერს, როდის დაიწყეთ წერა?

— წერის ჩვევა ჯერ კიდევ სკოლის ასაკში, ტელეპროფილურ ლიცეუმში სწავლისას გამომიჩვენა, სადაც შემოქმედებით საგნებს გავდიოდით და რეგულარულად მოგვეთხოვებოდა თავისუფალი თემების, ჩანახატების, დრამატურგიული სიუჟეტების წერა, რასაც მერე ყურადღებით ანალიზებდნენ ჩვენი ლექტორები. ეს იყო სასიამოვნო ცოცხალი პროცესი, რომელიც ტელევიზიაში მუშაობისას ძალიან მაკლდა. მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ტელეჟურნალისტიკის ეტაპის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძენი მისი დეფიციტი. გარდა ამისა, გავეცანი თანამედროვე ქართველ მწერლებს, გამიჩნდა ჩემი დამოკიდებულება და მოსაზრებები, მათ შორის, კრიტიკულიც. შეიძლება მათმა ნაწერებმაც მომცა გარკვეული გამბედაობა, რომ ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი, თუმცა ჩემს წილ პასუხისმგებლობას ყოველთვის ვგრძნობდი. მყავს რამდენიმე მეგობარი მწერალი, რომელიც თავისავე შექმნილი თავისუფლად მქვებენინა ჩემი ნაწერები და ვიცოდი, თუ არ ვარგოდა, პირდაპირ მეტყობდნენ, არაფერს შეალამაზებდნენ. თეონა დოლენჯაშვილიც და ბესო ხვედელიძეც საკმაოდ კრიტიკულად მეფასებდნენ. გარკვეულწილად ჩემს თავსაც ვენდობოდი, რადგან შეიძლება საკუთარი ტექსტის მიმართ ბოლომდე ობიექტური ვერასდროს გახდეს, მაგრამ ხომ გაქვს ჩამოყალიბებული ლიტერატურული გემოვნება, რომელიც გეხმარება კარგის და ცუდის გარჩევაში? ასე რომ, როდესაც გარშემომყოფთაგანაც დადებითი შეფასება დავიმსახურე, ნაწერის გამოქვეყნება გავბედე.

— პირველი მოთხრობის დაბეჭდვიდან ძალიან მალე, სრულიად ახალბედა, რომ იტყვიან, ახალგაზრდა ავტორი, ლიტერატურული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულიც გახდით. „ერთი მოთხრობის კონკურსში“ როგორ აღმოჩნდით?

— მის შესახებ სრულიად შემთხვევით გავიგე. პირველ რიგში ყურადღება ასაკობრივ ზღვარს მივაქციე. ზუსტად დავითხვა მოთხრობილი ასონინების რაოდენობაც და ამანაც იმოქმედა გადაწყვეტილების მიღებაზე. სხვა შემთხვევაში ამ მოთხრობას არც გამოვაქვეყნებდი. ძალიან პატარა აუდიტორიას ჰქონდა ნაკითხული - დაახლოებით 5 ადამიანს და ჩემთვის ეს საკმარისი იყო. კონკურსზე თავისუფლად ვიგრძენი თავი, რადგან მონაწილეთა სია არსად ქვეყნდებოდა და სრულიად უხმაუროდ, უფრო მეტიც, გასაიდუმლოებულად ვცადა ბედი. მხოლოდ ჩემი ერთი მეგობარი იყო საქმის კურსში. ორი თვე ველოდი პასუხს. მერე უკვე კულტურის სამინისტროში გაიმართა ღონისძიება, სადაც გამარჯვებულები გამოაცხადეს. ენთ ალუნერელი სიხარულით განვიცადა. ეს გამარჯვება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მოთხრობაში ნამდვილად ჩავდე დიდი ემოცია, რომელიც უკვალოდ არ დაიკარგა.

— ემოციები, რომელთაც თქვენს ნაწერებში გადმოსცემთ, საკუთარ გამოცდილებას ეფუძნება?

— პირველ მოთხრობებში უფრო მეტად, ბოლო მოთხრობებში პირადი გამოცდილება სულ უფრო ნაკლებადან. ნელ-ნელა ვთავისუფლებდი საკუთარი

განცდებისგან და ვცდილობ, სხვა თემებსაც მოვკიდო ხელი. თავიდან ვფიქრობდი, რომ აუცილებლად უნდა გქონდეს გამოვლილი ის, რასაც წერ, მაგრამ მერე მივხვდი — ასე არ არის. ვერცერთი მწერალი ვერ იცხოვრებდა იმდენი გვირის ცხოვრებით, რამდენზეც უწერია. აქედან გამომდინარე, გავრისკე იმაზე წერა, რაც აქამდე არ მიგრძენია და მივხვდი, რომ ეს შესაძლებელია.



— როგორი განცდაა, როდესაც პერსონაჟის ცხოვრებით იწყებ ფიქრს, აზროვნებას?

— ძალიან საინტერესო. პერსონაჟი ალბათ მაშინ არის რეალური, როდესაც წინასწარ ვერ განსაზღვრავ, საით წავა, როგორ მოიქცევა. თავიდან შენ უდგამ სულს და მერე უკვე ის გკარნახობს განვითარების გზას. კიდევ ერთი მომენტია: გარკვეული ასაკის შემდეგ ხვდები — არ არსებობს საქციელი, რომელსაც არასოდეს ჩაიდენ. ყველაფერი დამოკიდებულია კონტექსტზე, გარემო ფაქტორებზე, სულიერი მდგომარეობაზე და ა.შ. როდესაც აცნობიერებ, რომ ესა თუ ის ამბავი შეიძლება შენც შეგემთხვას, ადამიანების მიმართ უფრო ლოიალური ხდები, ნაკლებად განიკითხავ და თანაგანცდაც შეგიძლია. სწორედ ეს გეხმარება წერაში.

— კრებულში, რომელსაც „ანესთეზია“ უწოდებ, სულ ოთხი მოთხრობაა. თითოეული მათგანის შესახებ ვისაუბროთ.

— „ანესთეზია“ ჩემი პირველი მოთხრობის სათაურია, რომელიც ნიგნში არ შევიტანე, თუმცა კრებულის სახელწოდებად დავტოვე, რადგან სიმბოლურია: ყველა ტექსტში არის ტკივილი, რომელსაც გვირგვინი სხვადასხვა გზით იყუჩებენ. ზოგს გამოსდის, ზოგს — არა. ერთი სიტყვით, სათაური თავიდანვე შევარჩიე. ვიცოდი ისიც, რომ გარეკანზე აუცილებლად იქნებოდა ცნობილი შვეიცარიელი მხატვრისა და ფოტოგრაფის, რომან სიგნერის ფოტო, რომელიც ბერლინში ფოტოგამოფენაზე ვნახე და ძალიან მომეწონა. ვიყიდე ბარათი ამ ფოტოს გამოსახულებით, სადაც ეწერა ავტორის კოორდინატები და თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ინტერნეტით დავუკავშირდი. საოცრად გახსნილი პიროვნება აღმოჩნდა. მაშინვე გამომეხმარა და უსასყიდლოდ მომცა ნამუშევრის გამოყენების უფლება. ამ ფოტოზე ადამიანი თითქოს ფეთქდება, ქრება. როცა ქრება ადამიანი, წყდება არსებობა, იქ აღარც ტკივილია... ეს ყველაფერი რალაცნაირად დავუკავშირე ანესთეზიას და მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა ამოვიღე, სათაური დარჩა. დარჩა და სიგნერის ნამუშევართან

ერთად კრებულიც შეკრა. სხვათა შორის, ბევრი მირჩევდა, ის მოთხრობაც დამეტოვებინა. დიდხანს ვორჭოვობდი, მაგრამ ბოლოს მაინც შეველიე. რალაც პერიოდის შემდეგ შეიძლება დაგბეჭდო, რადგან ცუდი არ არის, მაგრამ გარკვეული შენიშვნები მაქვს.

— გადამუშავებას აპირებთ?

— არა, ამ ტექსტზე ველარ ვიმუშავებ. რაც შემიძლო, გავაკეთე. იყოს ისეთი, როგორც არის. დღეს რომ ვკითხულობ, ვხვდები, გარკვეული დეტალები ყურითაა მოთრეული, მხოლოდ იმიტომ, რომ სიტუაციას მოუხდა, თუმცა შემდგომ გაგრძელებას ვერ პოულობს, დრამატურგიულად არ იკვრება. სხვათა შორის, მასზე მუშაობაში ძალიან დამეხმარა გურამ მეგრელიშვილი, რომელსაც მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ ბევრი მოსაზრება გაუჩნდა. შენიშვნებით აწითლებულ ნაწერს მიგზავნიდა. ზოგს ვითვალისწინებდი, ზოგს — არა. თავიდან ძალიან გამიჭირდა მათი მიღება, რადგან ახალდანიერზე უფრო მტკივნეულად აღიქვამ შენიშვნებს. დრო რომ გადის და ემოცია ცხრება, მერე ცივი გონებით შეგიძლია მიუდგე კრიტიკას. მართალია, ამ ტექსტს დღის სინათლე არ უნახავს, მაგრამ საბოლოოდ კარგი მასტერ-კლასი გამოვიდა და მნიშვნელოვანი

„ ამბავი და სათქმელი გაკლდა “

გამოცდილება შემძინა. გურამი ამ ნიგნის ერთ-ერთი რედაქტორია. ძალიან საინტერესო იყო მუშაობა მეორე რედაქტორთან, ინა არჩუაშვილთანაც, რომელსაც შეუძლია სრულიად განსხვავებულ კონტექსტში დაგანახოს სიტყვები და ღრმად ჩაგახედოს მათ არსში. ზოგადად, რედაქტორთან მუშაობა ძალიან სასარგებლოა ავტორისთვის. უცხო თვალთა გეხმარება სხვაგვარად აღიქვა შენი ნაწერი და სწორად მიიტანო სათქმელი მკითხველამდე.

— ისევ თქვენს მოთხრობებს დავუბრუნდეთ. „ძაღვები არ დაიშვებიან“, რომელიც ებრაელი ტყვეების თემაზეა დაწერილი, „გაცვეთილი“ თემატიკის მიუხედავად, ემოციურად იკითხება.

— ეს ტექსტი გარკვეულწილად ჩემი მეუღლის გავლენით დაიწერა. ძალიან ბევრს კითხულობს I და II მსოფლიო ომზე, ზოგადად იმ ეპოქაზე. ჩვენი ლიტერატურა განსხვავდება ერთმანეთისგან: ჩემი თარო სავსეა მხატვრული პროზით, მისი — ისტორიულითა და დოკუმენტურით. არაერთხელ გვისაუბრია, როგორია, როდესაც საკუთარ საფლავს გათხრევენ და იმის ძალაც არ გაქვს, პროტესტი გამოხატო და ღირსეულად მოკვდე. მაგრამ რომ უფიქრდები, ხვდები, ასე მარტივად არ არის საქმე. ეს იმხელა შოკია, რომ ველარ ფლოზ შენს თავს, ფიქრებს, სხეულს. ასეთ ვითარებაში ღირსებაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. აქედან წამოვიდა ამ მოთხრობის დაწერის იდეა. მანამდე იყო „მარჯვნიდან მარცხნივ“, მოთხრობა, რომელმაც თქვენი გაზეთის მიერ გამოცხადებულ „ერთი მოთხრობის კონკურსში“ გაიმარჯვა. ამ გამარჯვებამ მომცა ბიძგი ნიგნის გამოშვებისთვის. სხვა შემთხვევაში ამაზე არ ვიფიქრებდი.

— სხვათა შორის, შეიძლება მავანმა ეს სურვილი თქვენს ზედმეტ ამბიციურობას მიაწეროს. შეიძლება ბევრი გააღიზიანოს იმ ფაქტმა, რომ ავტორს, რომელიც რამდენიმე თვეა გამოჩნდა ასპარეზზე, ნიგნის გამოცემის პრეტენზია გაუჩნდა.

— სულაც არ მიმაჩნია ასე. ის, რომ მანამდე არ ვწერდი, არ ნიშნავს, რომ არ

ვფიქრობდი. ეს ყველაფერი ჩემში გროვდებოდა, უბრალოდ ახლა დადგა დრო, როდესაც სათქმელს ფორმა შევეურიჩიე.

— ამას რაიმე კონკრეტულმა ფაქტმაც ხომ არ შეუნყო ხელი?

— იმან, რომ ტელევიზიაში აღარ ვმუშაობდი და ბევრი თავისუფალი დრო გამომიჩნდა. ამ პროცესს კი ძალიან დიდი დრო და ენერჯია მიაქვს. ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც დანერგენ რალაცას და პირდაპირ გააქვთ მკითხველის სამსჯავროზე, მე კი ტექსტს ბევრჯერ ვუბრუნდები. კმაყოფილი არასდროს ვარ, სულ მგონია, რომ რალაც კიდევ მაქვს ჩასასწორებელი. „მარჯვნიდან მარცხნივ“-ს საფუძვლად დაედო ჩემი მოგზაურობა ეგვიპტეში. საერთოდ, გამიჭირდება წერა იმ ქვეყანაზე, რომელიც არ მინახავს. მშურს ავტორების, რომელთაც წარმოსახვით შეუძლიათ ამის კეთება. ეგვიპტეში რევოლუციის პერიოდში მომინია ყოფნა, რამაც ჩემზე ემოციურად იმოქმედა და ამ ფონს სიუჟეტად ცოლ-ქმრის გახუნებული ურთიერთობა შევეურიჩიე. მოთხრობაში წყვილის პრობლემა გამოტანილი — უკონფლიქტო, მაგრამ გამოფიტული. მთავარი მაინც კომუნიკაციის არარსებობაა, თანაცხოვრება არ ნიშნავს, რომ ისინი ურთიერთობენ.

— საინტერესო თემები გაქვთ. კიდევ ერთი მინდა აღვნიშნო, თქვენს მოთხრობებში ერთი შეხედვით ბანალურ ამბებს ყვებით, მაგრამ ინტერესით იკითხება.

— ბოლომდე ვერ დაგეთანხმებით, რადგან „სხვა გზა“-ში მთლად ბანალური ამბავი არ არის. სხვათა შორის, ბევრი ვეძებ, მაგრამ მსგავს სიუჟეტს ვერსად მივაგენი. ამ მოთხრობაში ძალიან დიდი ენერჯია და ემოცია ჩავდე.

— ანალფაბეტების თემას თუ გულისხმობთ, მართლაც გამორჩეული და უცხო სიუჟეტია. ამ საკითხით როდის დაინტერესდით?

— ეს არის პრობლემა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მანუხებდა და რომელიც გერმანიას უკავშირდება. იქ ყოფნისას ვნახე სოციალური რეკლამა ანალფაბეტებზე, ანუ ადამიანებზე, რომელთაც არა აქვთ უნარი, ისწავლონ წერა-კითხვა. ეს არის ავადმყოფობა, რომლით დაავადებულითა რიცხვი არცთუ მცირეა. უბრალოდ, ბევრმა არ იცის ან ერიდებათ ამაზე საუბარს. კარგად რომ დაფიქრდეთ, თქვენი გარემოცვიდან შეიძლება გაიხსნოთ ადამიანები, რომელთაც სკოლის ასაკში ძალიან უჭირდათ წერა-კითხვა. მასწავლებლები ამას სიზარმაცეს აბრალებდნენ, რეალურად კი ავადმყოფობაა. წარმოიდგინეთ, როგორია ცხოვრება ასო-ნიშნების გარეშე, როდესაც დახურულია სიტყვისმიერი სივრცე. ეს მდგომარეობა არაფრით ჩამოუვარდება ინვალიდობას. დავიწყე ფიქრი იმაზე, რა შეიძლება გამოიაროს ასეთმა ადამიანმა, რომელსაც არა აქვს საზოგადოების მხარდაჭერა, მუდამ დასჯისა და დაცინვის ობიექტია. შევეცადე მეჩვენებინა, სადამდე შეიძლება მივიყვანოთ პიროვნება ამ დაუნდობელი დამოკიდებულებითა და დისკრიმინაციით. ჩემთვის ეს იყო სოციალურად მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ლიტერატურის გარესში მოვაქციე. თავიდან სტატიის დაწერას ვაპირებდი, მერე მოთხრობა ვარჩიე, რადგან ლიტერატურა უფრო მეტის საშუალებას გაძლევს, მეტ ტკივილს იტყვს.

— დიდ ტკივილს იტყვს კიდევ ერთი თქვენი მოთხრობა — „მზეთუნახავი“.

— ესეც მნიშვნელოვანი თემაა. წესით ადამიანში მთავარი მინაგანი სამყაროა და არა გარეგნული იერი, მაგრამ ჩვენ არ ვართ იმდენად ძლიერნი, რომ ასე ადვილვით ერთმანეთი და თუნდაც საკუთარი თავი. ფორმას მაინც ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ფორმა გარკვეულწილად განაპირობებს შინაარსსაც. მთავარი გვირის ცხოვრებაში ავარიის შემდეგ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ის ზუსტად ასეთი შეიყვარა — სახედსასხიჩრებული - თუმცა ეს ურთიერთობა არ შედგა, რადგან, როგორც ირკვევა, არც მამაკაცის მხრიდან იყო გრძნობები ბოლომდე ჯანსაღი, მასაც საკუთარი ტრაგედია ამოძრავებდა. სწორედ ეს მინდოდა მეჩვენებინა — შეძლებს თუ არა ადამიანი შეეგუოს გარეგნული იერის დაკარგვას და ასე გააგრძელოს ცხოვრება.

დასასრული მე-16 გვერდზე

აკითხვანი

ნიკოლოზ ვაჩიშვილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან, ნიკოლოზ ვაჩიშვილთან შეხვედრა დაგეგმილი გვაქონდა, როცა საზოგადოებრივ ტელევიზიით იხილა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსი და აფხაზი „სპეციალისტების“ მიერ ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაზე განხორციელებული „რესტავრაციის“ შედეგი. მართალია, ინტერვიუ რუბრიკით — მკითხველი, როგორც წესი, ლიტერატურას, წიგნებს, საყვარელ ავტორებსა და მხატვრულ ტექსტებს შეეხება ხოლმე, მაგრამ ამჯერად ტრადიციას ვულაღატე და ბატონ ნიკოლოზს, არა როგორც მკითხველს, არამედ — კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით. სამწუხაროდ, ჩვენი საუბრის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ილორის ეკლესიის „ხვედრი“ X საუკუნეში აგებულმა ბედიის ტაძარმაც გაიზარა.

— ბატონო ნიკა, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ილორის წმინდა გიორგის ეკლესია ცოტა ხნის წინ, სატელევიზიო ეთერში სულ სხვა სახით წამოგვიდგა. ტაძრის ძველი გუმბათი მოხსნილია და ნაგებობას ე.წ. „რუსული გუმბათი“ ადგას, შელახულია კედლის მხატვრობის უძველესი ნიმუშები, ერთი სიტყვით, მთლიანად შეცვლილია ეკლესიის ისტორიული იერ-სახე. ალბათ, თქვენ გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობთ კონკრეტულად ამ შემთხვევისა და ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

— ილორის წმინდა გიორგის ეკლესია X—XI საუკუნეების ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია და ასწლეულების მანძილზე ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. ეს გახლავთ აფხიდი დასრულებული ერთნაირი ნაგებობა, რომელსაც სხვადასხვა ხანის მინაშენები აქვს. პროპორციებით, გეგმარებით, შესრულებით, აღმოსავლეთ ფასადზე შემონახული ქართული ნარწერებით იგი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ყველა ნიმუშს ატარებს.

დღეს, ტაძრის მორფოლოგია მთლიანად შეცვლილია. როგორც იტყვიან, უნდა მოახეხო, რომ ასეთი ლამაზი ნაგებობა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანო — გაღესო, გადაღებო, გუმბათი შეუცვალო. ქართული კვალის ნასამლელად ტაძრის გარე ფასადი მთლიანად შეთეთრებულია, ხოლო აღმოსავლეთის მხარე, სადაც ქვეზე ქართული ნარწერები იყო ამოკვეთილი, შელახულია. შელახულია ფრესკებიც. ეკლესიაში დამონტაჟებულია კონსტიტუციონერები, ჩასმულია მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯარა.

ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ სხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე, „გარუსულების“ ამგვარი უხეში კვალი თითქოს არ ჩანს. არ მინდა, ამ შემთხვევას გარკვეული პოლიტიკური შეფასება მივცე, მაგრამ ფაქტები თავისას ამბობს.

— საქართველოს მიმართ რუსული ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები ყოველთვის იდენტური იყო. სამწუხაროდ, სურათი არ შეცვლილა. ამიტომ, შეუძლებელია, ისაუბრო რუსული ეკლესიის ქმედებაზე ოკუპირებულ აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში და პოლიტიკურ შეფასებებს თავი აარიდო.

— ილორის ეკლესიის ხელყოფაც, შეიძლება ითქვას, ტიპური შემთხვევაა. თუ გადავხედავთ ისტორიულ სურათს XIX საუკუნიდან მოყოლებული, დავინახავთ, რომ ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა.

— ვანდალიზმის ამ უკანასკნელ ფაქტს მოჰყვა თუ არა ოფიციალური რეაგირება საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან?

— საქართველოს კულტურისა და მემკვიდრეობის სამინისტრომ თხოვნით მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მათი მხრიდანაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვეს ხსენებულ ფაქტს. მიმდინარეობს ნერილობითი სახით ინტენსიური დიალოგი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა იუნესკოსა და სამინისტროს შორის. ასე რომ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავარი ორგანიზაცია საქმის კურსშია. ახლა მთავარია, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ძეგლების მდგომარეობა არამარტო ქართული სპეციალისტების მიერ შეფასდეს, არამედ საერთაშორისო ექსპერტების განხორციელებაც გახდეს შესაძლებელი.

— „საქმის ბოლომდე მიყვანაში“ რა იგულისხმება? რამდენად რეალურია,

რომ ძეგლი — ამ შემთხვევაში, ილორის ეკლესია — პირვანდელ სახეს დაიბრუნებს?

— ეს პროცესი ორ ეტაპად მაქვს წარმოდგენილი. თავდაპირველად ვითარების შეფასება და გაანალიზებაა აუცილებელი. როგორც ვთქვით, იუნესკოს ექსპერტებთან ერთად უნდა დაფიქსირდეს, რა მოხდა, რა დაირღვა, რა შეცდომები იქნა დაშვებული. ვფიქრობ, ეს ყველაზე არსებითია. ამის საფუძველზე კი შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი უნდა მოიძებნოს, შემუშავდეს პროგრამა, რომლის განხორციელებასაც მეორე ეტაპზე შევუდგებით.



„ სმირად  
პუბრუნდები  
ქველ  
ავტორებს  
“

არსებობს საერთაშორისო კონვენცია — საქართველო მასთან მიერთებული ქვეყანაა — რომელიც საომარ თუ კონფლიქტის ზონებში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ვრცელდება და კონფლიქტის მხარეებისგან ამ ძეგლებს დაცვას ითხოვს. ჩვენი შემთხვევაში, ოდნავ თუ დავიშვებდით თავს იმით, რომ ილორის ეკლესიაც და სხვა ძეგლებიც, ფიზიკურად შენარჩუნებულია, ისინი დანგრეული ან აფეთქებული არ არის. ამიტომ ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს მათი დაბრუნება.

— ახლა კი, საუბრის ძირითადი თემა გავისხენოთ — საყვარელი ლიტერატურა და წიგნები. თქვენთან ერთად მეც იმ თაობას მივეუთვნები, რომლის ბავშვობამაც ლიტერატურული გმირებით „დასახლებულ“ სამყაროში გაიარა. მაშინ ინტერნეტსაშუალებები არ არსებობდა და ამიტომ განსაკუთრებულად ვემგობოდა წიგნებს, მისგან ვიღებდით ცოდნას, ინფორმაციას, ის იყო ჩვენი ფანტაზიისა და წარმოსახვების წყარო. თქვენი პირველი ლიტერატურული თავგადასავლები თუ გახსოვთ?

— ფაქტიურად, ბავშვი საყვარელ წიგნებთან შეხებით, მათთან ურთიერთობით იზრდებოდა. ჩემს ოჯახში — ალბათ, როგორც საქართველოს უმრავლეს ოჯახებში — წიგნების ფურცლა, გატყვებით თვალთვლით და უფროსების ნაამბობი ზღაპრების მოსმენა ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო. განუწყვეტელ თხრობასა და საინტერესო ისტორიების სმენაში გადიოდა დღეები. ასე მაგონდება ის დრო. მაღლობა მინდა ვუთხრა ჩემს მშობლებს იმისთვის, რომ წლების წინ, ჩემი და ჩემი დების ბავშვურ ფანტაზიას არაფერი მოჰკლებია. მერე კი, როცა კითხვა თვითონ დავიწყეთ, ტომ სოიერი, პეპი გრძელი წინდა და ჩვენი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი წიგნების სხვა გმირებიც დაგვიმეგობრდნენ. ვკითხულობდით ყველაფერს ქართული საბავშვო ლიტერატურისგან და არ ვტოვებდით წიგნებს, რაც ქართულ ენაზე კარგად იყო თავმნილი, რადგან ჩვენი ოჯახი უპირატესობას სწორედ ქართულენოვან ლიტერატურას

ანიჭებდა. ასე ვიზრდებოდი. დღეს მიდგომები გარკვეულწილად შეცვლილია, დასტურდება კიდევ, რომ ბავშვი შესაძლებელია რამდენიმე ენას ერთდროულად ეუფლებოდეს.

— დღეს წიგნის მალაზიების თაროებზე გამოდებულ საბავშვო და საყვარელი გამოცემებს თვალს ვერ მოწყვეტ, იმგვარი მრავალფეროვანი არჩევანია. ადრე კი, გარკვეული იდეოლოგიური მიდგომით შერჩეული ავტორები ითარგმნებოდნენ, ამიტომ ყველა ერთსა და იმავე მწერლის შემოქმედებას ეცნობოდა. მაშინდელი წიგნები გახსოვთ?

— მართალი ბრძანდებით, ჩვენი ბავშვობაში გეგმიური თარგმანები იყო, უცხოური წიგნები იდეოლოგიურად იფილტრებოდა. თუმცა, ცალმხრივები ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ დაბალხარისხიან ლიტერატურას ვეცნობოდით. პირიქით, მეტწილად მაღალი რანგის, გამორჩეულ საკითხავს გვანდებდნენ. დღეს, უფროსებიცა და ბავშვებიც არჩევანის ზღვაში ვიმყოფებით, ლიტერატურული სივრცე სრულიად გახსნილია. თუმცა, მე დღემდე დავიანებულ მკითხველად ვრჩები, ლიტერატურული სიახლეების მყისიერი ამთვისებელი არ ვარ.

— ალბათ გყავთ რეკომენდატორები, რომელთა ლიტერატურულ გემოვნებასაც ენდობით.

— ლიტერატურული სიახლეებით ყოველთვის ვინტერესდები. თუკი თანამედროვე ქართულ მწერლობაზე ვილაპარაკებთ, საბედნიეროდ ახალი თაობის ავტორებიდან ბევრს პირადად ვიცნობ, ვიცი მათი პროდუქციის უკან — თუ შეიძლება წიგნს პროდუქცია ვუნხოვო — რა შინაგანი ცხოვრება, რა განცდები დგას. იმის თქმა მინდა, რომ ცხოვრება თვითონ მკარანახობს, მიმანიშნებს ხოლმე საით წავიდე, საკითხავად რა ავირჩიო.

თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში მონაწილეობა მეტად საინტერესო და სასარგებლოა ჩვენი ახალგაზრდა ავტორებისთვის. ლიტერატურის თვისებად მიმაჩნია ის, რომ მწერლები გარკვეულ ტენდენციებს მიჰყვებიან, ექსპერიმენტატორობენ, ეძიებენ. ეს გზა ყველამ უნდა გაიაროს და ლოგიკურ შეჯამებამდე მივიდეს. მე კი, როგორც მკითხველს, მიჯობს სწორედ შეჯამებული, დანმენდილი შემოქმედება გავიზარო. ვფიქრობ, ამ მხრივ, დავიანებული მკითხველის სტატუსი ერთგვარად კომფორტულიცაა, რადგან იმგვარ გადატვირთულ სამუშაო გრაფიკში მე რომ მაქვს, ამდენ საკითხავს ფიზიკურად ვერ მოვერევი, ყველა ნამცეცს საითთაოდ ვერ ავკრეფ.

— კითხვისთვის დრო გრჩება?

— სამწუხაროდ, ინტენსიური კითხვისთვის დრო მართლაც არ მრჩება, მაგრამ საკითხავს შინაგანი კრიტიკურიუმებით ვირჩევ, ჩემს სიმბოლურ-ვირტუალურ ავტორთა ველში სხვადასხვა მწერლები მოექცევიან ხოლმე და მათ ვკითხულობ. ესენი შეიძლება იყვნენ როგორც თანამედროვე, ასე გვიანი ან სულაც ადრეული ეპოქების ავტორები. ამ მხრივ შეზღუდული არ ვარ. ხშირად ვუბრუნდები ხოლმე ძველ, საყვარელ ავტორებს და ყოველჯერზე განსხვავებული თვლით ვკითხულობ მათ ტექსტებს.

— ვინ არიან თქვენს „სიმბოლურ-ვირტუალურ ველში“ მოქცეული მწერლები, ან რომელ ნაწარმოებთან გიყვართ მიბრუნება?

— ნელინადი არ გავა, „ვეფხისტყაოსანი“ არ მივუბრუნდებ. ეს ძალიან მრავალმხრივი ნაწარმოებია. ბევრი მასში მხოლოდ სიბრძნეს ხედავს. პემის მიმართ

ასეთი დამოკიდებულება ადამიანებს სკოლიდან მოჰყვება, ეს ამძიმებს მათ და პემის სრულად აღქმაში უშლის ხელს. ზოგს ერთგვარი შიშიც აქვს, ამბობს, არ ვარ მზად „ვეფხისტყაოსანი“ ხელმოვრედ ნავიკითხო. ნაწარმოებისადმი ამგვარ მიდგომებს გვერდზე თუ გადავდებთ დამას ისე ნავიკითხავთ, როგორც გუშინ დანერვილს, ან თვითონვე გადავინაცვლებთ XII საუკუნეში, მაშინ ტექსტთან ჩვენი ურთიერთობა ძალზე ცხოველი იქნება. ჩემს უფროს გოგონას, ელენეს, ისეთ ეპიზოდებს ვუკითხავ ხოლმე, რომელზეც გულიანად იცინის და ცოცხლად ხედავს, რა გადახდა პემის გმირებს.

„ვეფხისტყაოსანი“ ჩემი თანმდევიც, არასოდეს მცილდება. ის იმდენად მიყვარს, რომ მეორე შვილს, რომელიც სულ ახლახან დაიბადა, თინათინი დავარქვი.

— ძველი პერიოდის ქართველი მწერლებიდან, კიდევ რომელზე ისაუბრებდით მსგავსი გატაცებით?

— დავით გურამიშვილი ძალიან დიდი ავტორია ჩემთვის. მის შემოქმედებას სიბრძნის მუსიკას ვუნოვებდი, მუსიკას — რომელიც ახლოა. მოგახსენებთ, ხუროთმოძღვრების ძეგლებზე გვიწევს მუშაობა; XVII საუკუნის ნაგებობებთან შეხებისას გურამიშვილისეულ სივრცეს ვხედავ, „დავითიანის“ ეპიზოდები ციხესიმაგრეებსა და ტაძრებში იძენს ფორმას, მათშიც ისეთივე რიტმია, ისეთივე განწყობაა. კავშირები ლიტერატურისა რეალურ ცხოვრებასთან ძალზე საინტერესოა. გურამიშვილი ამოუნურავი სიბრძნეა. შეყვარებულია კაცი? — შეუძლია მას მიმართოს, მისი სიტყვებით ასაზრდოოს გრძნობა; გულდნაფყვტილია? — ის განუქარვებს სევდას, მდგომარეობიდან გამოსვლის გზას დაინახებს... მთავარია ადამიანმა იცოდეს ეს ტექსტები. ამიტომაც აუცილებლად მიმაჩნია სკოლებში მათი ზეპირად სწავლება, ოღონდ — ცოცხლად, რათა ეს პროცესი დაზუთხვისა და აქედან გამომდინარე, გაუგებრობის ჩიხად არ იქცეს.

— ვფიქრობ, კლასიკური მხატვრული ტექსტების ზედმიწევნით ცოდნა, ახალგაზრდა მწერლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

— ჩემს სტუდენტებს ვასწავლი, რომ სახვით ხელოვნებაში ყველა ნოვატია და წინსვლა დიდი გაზიარების შემცველი უნდა იყოს. თუ სიღრმით არ გაიზიარებ არსებულს, თუკი მას შენს საფუძვლად, საყრდენად არ აქცევ, — არასოდეს გექნება წინსვლა და თანამედროვე ხელოვნებას ვერ შექმნი. ვფიქრობ, იგივე შეიძლება ითქვას მწერლობაზე. ჩემი პროფესიის ხალხი — ხელოვნებათმცოდნეებიც წერენ. ისინი ახასიათებენ, ხატავენ სამყაროს. სამყაროს — მაგალითად, რომელიმე ეკლესიისა. აინტერესებთ, ვინ იყო მისი მამწენებელი, როგორ ააგო მან ის ტაძარი, რატომ შეურჩია ესა თუ ის ფორმები... ხელოვნებათმცოდნეები მხოლოდ აღწერით კი არ კმაყოფილებიან, არამედ ცდილობენ ამშენებელი, მისი ცხოვრება დანახონ — სად იყო, სად იმოგზაურა, რა ნახა, რა გამოცდილება მიიღო.

კარგია მწერლობა. საოცარია სივრცე, რომელიც აწერინებს, ახატვინებს ადამიანს.

— რადგან კლასიკურ ლიტერატურაზე, მის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, მინდა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლები გავისხენოთ — ისინი, ვინც სიცოცხლეშივე იქცნენ კლასიკოსებად. თუმცა, მკითხველის დამოკიდებულება ტექსტთან იმდენად ინდივიდუალურია, რომ შესაძლებელია ნაკლებადღესობილი, ნაკლებადმოპულარული მწერლის ნაწარმოებმა უფრო იმოქმედოს ადამიანზე, ვიდრე აღიარებული კალმოსის შემოქმედებამ.

— მწერლობასთან ამგვარი დამოკიდებულება მაქვს: ურთიერთობას, სიახლოვეს ამა თუ იმ ავტორთან, ვიტყვით, მარცვალ-მარცვალ ვაგებ. შესაძლებელია მწერალს კლასიკოსი ერქვას, მისი შემოქმედების გარემო ჩამოყალიბებული აზრი არსებობდეს, მაგრამ ამ აზრს, ჩემი დამოკიდებულებაც ხომ უნდა დავემთხვეს. ავტორიტეტების მიერ ამა თუ იმ ნაწარმოების შეფასება ჩემთვის საკმარისი არ არის. თამაზ ჩხენკელის ლექსები, ოთარ ჭილაძის პოეზია, ან მისი პროზა, რომელიც გუთონისდების ხსენებითი ფრაზებისგანაა შექმნილი, მკითხველმა თვითონ უნდა აღმოაჩინოს.

დასასრული
დასაწყისი № 60-66
კოკაინი - კი, კაინი

კოკაინიც მკვლელია, თანაც არა მხოლოდ ძმის მკვლელი. ასე, რომ ამ ორის - კაინისა და კოკაინის - ერთად ყოფნა არ უნდა გაგიკვირდეს.

აღაი - ეღაი

ისე, კაცმა თქვას, ადამი არც კი უნდა გამოეძევებიათ ედემიდან, თუმცა ევას დანაშაული მისი შემოქმედის დანაშაულიც გამოდის. ესეც არ იყოს, რა ფასი აქვს ედემს უქალოდ! ასე, რომ, ყველაფერი ლოგიკური ჩანს.

სიოპინგი - დოპინგი

იცით, რა თქმა უნდა: ყველაზე დიდი გასავალი დოპინგს სპორტში აქვს. რაკი სიოპინგი სანაწილს სპორტის სახეობაა, გამორიცხული სულაც არაა, ათასში ერთხელ სპორტსმენებს აქაც წაუცდეთ ხელი დოპინგზე!

კაბიუ - კაპო

რა შეიძლება ჰქონდეს საერთო ამ ორ სახელს ერთმანეთთან! - არც არაფერი!

და კიდევ, ერთი რითმა-განაჩენი:

ქლიარ დაუსს - დაუნქირას

სტალინი - სტალონა
ჰო, ჰო, ბიჭო, რას დაუსიებდა ცემით თავპირს... როგორ ფიქრობთ - სტალონე

ტარიელ ქანტურია



ჭკვიანი რითმების ლექსიკონიდან

სტალინს გეგონოთ, კი! პირიქით იქნებოდა ეს ყველაფერი, სტალინისაირები გაუსიებია ცემით დიდ ბელადს?!

ლენინი - ლენონი

ლენინის მაგიერ კიდევ ერთი ლენონი გაეჩინა ლმერთს, რამდენი მილიონი ადამიანი გადაურჩებოდა სიკვდილს, ვინ დათვლის ამას! ბოროტება და სიკეთეა გართიმული ამჯერად!

ბრუნო - ბრუნავს

მართლა უცნაური ფენომენია ქართული ენა! ახლაც - გეგონება, საგანგებოდ გააჩინა ეს სიტყვა ბრუნოსთან გასართიმავად!

ნასვი - ნარწყვი

შუა ზაფხულში მორთმეული ნესვის დანახვაზე კაცს ნერწყვი მოგადგეს, სულ არაა გასაკვირი!

მაგრაღ იომა - მაგრატიონმა

იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც ამგვარი ლექსიკონი დგება, არა მგო-

ნია, ეს სარიტმო წყვილი დასაუნებელი იყოს. ისე, სარიტმო ტანდემს ვარიანტიც აქვს:

მაქ რად იომა - ბაგრატიონმა ქართველი დიდგვაროვანი, რუსეთის ჯარის ერთ-ერთი სარდალი, ებრძვის საფრანგეთის არმიას. რითმაც კითხვას სვამს, მაქ რად იომაო!

სად არ გოგონს - სადარბაზო

დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენთაგანი შესწრება ამ რითმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მამტკიცებელ ფაქტს მანაც და მანაც სადარბაზოში!

პაგუბიატ სტრანუ ლილიპუტი, ილი მედვედევი, ილი პუტინი!

ვისაც ერთისთვისაც შეუვლია თვალი და მეორისთვისაც - პუტინისთვისაც და მედვედევისთვისაც, არ გაუკვირდება ლილიპუტებად მათი მოხსენიება. აქედან გამომდინარე, ჭკვიანი თუ ვერაა ეს რითმა, მართალი ხომარა!

უფალო - უფულო

თუ არც მშობელი გყავს, არც მუშაობ და არც სპონსორსა და მეცენატს ახსოვ-

არ, უფალს შესჩივლებ შენს უფულობას, მეტს ვის! ერთი სტროფი უნდა დავიმონმო ჩემი:

ვის სმენია, სად თქმულა, ვის უნახავს, უფალო:
ოცდაცამეტ პოეტში
მარტო მე ვარ უფულო!
მოკლედ, ამჯერადაც სწორია ყველაფერი.

კიბო - კუპო

სამწუხაროდ, კიბო მეტწილად ლეთა-ლური გამოსავლით სრულდება.

პრუსტი - ფროსტი

ამჯერად რითმამ დიდი პროზაიკოსი და დიდი პოეტი შეახვედრა ერთმანეთს!

პართენონი - პანთეონი

მიუხედავად იმისა, რომ პართენონი არ უდრის პანთეონს, რაღაც აზრი მაინც აქვს ამ ორი სიტყვის დანყვილებას.

ილია მორა - მორა ილია


ასე შეახვედრა რითმამ ერთმანეთს საქართველოს ორი რჩეული შვილი! რითმის ავტორობაზე საუბარი პირადად ჩემთვის გულუბრყვილობაა - პოეზიაში იგი პრინციპულად არაფერს წყვეტს, მაგრამ ამ სარიტმო წყვილის ავტორობას ვერ დავთმობ! მისი სასკიტითქმის ათი წელია - ეს შესიტყვება პირველად გამომჩნდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სამოცდაათი წლისადმი მიძღვნილ ჩემს წერილში...

ეკატერინე ტოგონიძე: „ამბავი და სათქმელი მაკლდა“

დასასრული

— ნიგნის პრეზენტაციაზე საინტერესო ფოტოპროექტი იყო წარმოდგენილი. ვისი იდეა იყო მოთხრობების ფოტოებით გაფორმება?

— საერთოდ, ჩემთვის კადრი ძალიან მნიშვნელოვანია. წერის პროცესში ამბავს ვერ ვიზუალურად ვხედავ და მერე გადამაქვს ფურცელზე, ამიტომ ვიფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა ფოტოგრაფის ხედვაც. მარი ნაკანი აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელმაც ზუსტად და საინტერესოდ აღიქვა ეს მოთხრობები. ის ყოველთვის მუშაობს მეუღლესთან ერთად, ამიტომ მათ ბრენდს ჰქვია „ნაკანიმასახლისი“. როდესაც მარიმ ტექსტები წაკითხა და მიხრა, რომელი სცენების გადაღება უნდოდა და როგორ, მივხვდი, რომ კარგი ტანდემი გამოვიდოდა. მერე ერთად შევარჩიეთ ადგილი, ადამიანები, რეკვიზიტები. ძალიან საინტერესო პროცესი იყო. ვცდილობდი,



არ ჩავრეულიყავი და გამოსახულება მთლიანად მათთვის მიმენდო. საბოლოოდ, ძალიან კარგი ფოტოები გამოვიდა. ახლა ვნახობ, რომ ნიგნში არ ჩავსვი. მიხდოდა, ვიზუალური ნაწილით პრეზენტაცია ორიგინალური გამეხადა, მაგრამ თუ ოდესმე კიდევ დაგვხვდავ ამ მოთხრობებს, აუცილებლად დაფურთავ ფოტოებს, რადგან მართლა კარგი ნამუშევრებია.

— ამ ეტაპზე ხუთი მოთხრობის ავტორი ხართ. აპირებთ გაგრძელებას?

— გაგაგრძელებ, ოღონდ ცოტა დრო მჭირდება. ჯერ ნიგნის ეიფორია უნდა ჩაცხრეს, თან გარკვეული გეგმები მაქვს ბოლო მოთხრობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი აუცილებლად გავაგრძელებ. დაახლოებით ვიც კიდევ, რა მიხდა, ოღონდ ჯერ თემა უნდა მომნიფდეს.

— საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ თანამედროვე ავტორების კითხვისას კრიტიკული დამოკიდებულება გაგიჩნდათ. რას გულისხმობდით?

— მაკლდა ამბავი და სათქმელი. ხანდახან ტექსტი კარგად იკითხება, მაგრამ მისგან არაფერი გრჩება, იმიტომ, რომ ავტორს არ ჰქონდა სერიოზული სათქმელი, რომელსაც ლიტერატურულ ფორმას მისცემდა. ეს ერთი პრობლემაა. მეორეა ის, რომ ხშირად არ არის ამბავი, არადა, ფორმა და მოცულობა მოთხრობისაა. მოთხრობა ხომ მინი-რომანია, თანამედროვე ქართულ მოთხრობაში კი ზოგჯერ არ არის პერსონაჟებისა და დრამატურგიის ის სრულყოფილება, რაც ამ ჟანრს სჭირდება.

— ამბავი აუცილებელია? — ჩემთვის აუცილებელია: უნდა იწყებოდეს, ვითარდებოდეს და მთავრდებოდეს. შეიძლება ტექსტში იყოს განწყობებიც, სხვა ტიპის დინამიკები; შეიძლება ერთი ისეთი ეპითეტი შეგვხვდეს, მთელ ნაწარმოებად ღირდეს, მაგრამ ამბავი ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანია. როდესაც კითხვას ვინყვებ, სწორედ ამას ველოდები.

ესაუბრა ნანა კობახიძე

ნიკოლოზ ვაჩიშვილი: „ხშირად ვუბრუნდები ძველ ავტორებს“

დასასრული

ამას წინათ, ოცდა პაჭკორიას „უბის ნიგნაკს“ გადავანყვი. საოცარი ჩანახატებია. საოცარია, ზოგადად, დიდი ქართველების მიერ შექმნილი ლიტერატურა. ამ მწერლების შემოქმედებას კვლავ და კვლავ სჭირდება პოპულარიზაცია, დახასიათება. პასუხისმგებლები ვართ, რომ ეს სიბრძნე, ეს მაღალი ხელოვნება ღირსეულად წარმოჩინდეს. ამაში მაინცა და მაინც ტელევიზიით საუბრებს როდი ვგულისხმობ. მკითხველები რომ ვიქნებით, ლიტერატურის გარეშე რომ არ ვიცხოვრებთ, ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან რომ გავიზიარებთ ამ დიდ ხელოვნებას, — ამაზე ვლაპარაკობ.

სხვათაშორის, ეს თარგმანსაც ეხება. მხატვრული ტექსტის თარგმნაც ხომ შემოქმედებაა? ლიტერატურის შემქმნელსა და ლიტერატურის მთარგმნელს ერთმანეთისგან ვერ ვმიჯნავ.

— თანამედროვე ქართულ თარგმანებს ეცნობთ?

— ამ შემთხვევაშიც დაგვიანებული მკითხველი ვარ. როცა შემოქმედებითი პროცესი მომნიფდება და გავიგებ, რომ ესა თუ ის თარგმანი საინტერესო გამოვიდა, — ვეცნობი.

როცა თარგმანის ხელოვნების უმაღლეს შესაძლებლობებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია დავით წერეთლის თარგმნილი ფრანსუა ვიონი არ გავიხსენოთ. იგივეს ვიტყვით მანანა გიგინეიშვილის თარგმანებზე. მის მიერ გადმოქართულებული ხუან ხიმენის „პლატერო და მე“, სპირიტუალური (მარგერიტ იურსენარის მიხედვით) არამხოლოდ ქართული თარგმანის, არამედ ზოგადად, ქართული ლიტერატურის შედევრებად მიმაჩნია. ყველას გვახსოვს როგორ „ათვინიერებდა“ და ძარღვიანი ქართულით ამოთქვამდა სპარსულ მუსიკას ვახუშტი კოტეტიშვილი.

კარგია, რომ უცხოური ლიტერატურა დღეს ინტენსიურად ითარგმნება. დრო თავისით დალაგებს, დანრიტავს და გამოაჩენს იმას, რაც კარგია.



— უცხოელებიდან, რომელი ავტორის მკითხველი უფრო ხართ?

— ერთ-ერთი საყვარელი ავტორია ინგლისელი კლაივ სტივლზ ლუისი. პირველად მის ტექსტებს სტუდენტობისას გავეცანი და დღემდე ერთგულ მკითხველად ვრჩები. მიყვარს XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა. ბოლო ხანებში ბორის აკუნინის ვკითხულობ... მიჭირს გამოვარჩიო და გითხრა, კონკრეტულად რომელ ავტორზე ვარ „მიბმული“. მკითხველის ცხოვრებაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორი იკავებს ადგილს, ზოგიც ეპიზოდურად გამოჩნდება ხოლმე. მნიშვნელოვანი უფრო ის არის, რომ მკითხველმა შეძლოს და ლიტერატურა საკუთარ გამოცდილებად აქციოს.

ლიტერატურის გაგებას, აღქმას, გაზიარებას ფიქრი, გონების მიდევნება სჭირდება, ეს დროს მოითხოვს, ჩვენ კი ყველაზე მეტად მოცალეობა გვაკლია. თვალის ერთი გადავლებით ლიტერატურის ათვისება ერთეულებს შეუძლიათ მხოლოდ.

ესაუბრა თამარ ჟურული

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com